

ჯ. ვ. ხაშ.

გაეროსული  
საქართველო



№ 9 კვირეული ჟურნალი 1911 წ. 6 თებერ. № 9

შ ი ნ ა ა რ ს ი :

- |                                   |                      |
|-----------------------------------|----------------------|
| 1) ფიქრები და შენიშვნები          | W.                   |
| 2) მაჯლაჯუნა                      | თარგ. ნ. ყიფიანი.    |
| 3) კუქია მიქელაძის საფლავთან      | დ. მესხი.            |
| 4) გაათრებული დედა (Sazan d' Ary) | კნ. ჯაბ.—ორბელიანის. |
| 5) ლიტერატურული შენიშვნები        | იპ. ვართაგავა.       |
| 6) ნაკადული                       | ა. გაფრინდაშვილი.    |
| 7) ყორანი, მინიატიურა             | ტ. ტაბიძე.           |
| 8) ჩემი ტრაგიზმი                  | ას. პ—ფია.           |
| 9) უვნებელი პეტარდები             | ა. გ.—ციხელი.        |

დამატება: განწმენდის სასახლე დრ. პ. მოქ. შოთა დადიანი.



№ 9 კვირეული ჟურნალი 1911 წ. 6 თებერ. № 9

ბგენტურა ძვირი ჯდება, კთხვთ ჟურნალი წლიურათ (5 მ.ნ. შეიძლება ათ-ათ მხურობით შემოტანა) გამოიწეროთ. თუ ჟურნალი რაიმე მიხეხის გამო დაიკეტა, ხვედრი უფლი ხელის მოძვერთ უსათუოდ უკანვე დაუბრუნდებათ.

53

## ფიქრები და შენიშვნები.

თეატრის და სენის შესახებ.

V.

ბევრი დაუწერიათ და უფრო მეტი ულაპარაკნიათ ჩვენს მწერლობასა და საზოგადოებაში ჩვენებურ მსახიობთა მოუმზადებლობაზე, რეჟისორთა დაუკვირველობაზე, საქმის გამგებელთა მცონარეობაზე და წარმოდგენის უფერულობაა უვარგისობაზე.

რა თქმა უნდა, ეს საყვედური უფრო მეტს შემთხვევაში სამართლიანი ყოფილა, მაგრამ ვერც ერთს მოსაყვედურეს აზრად არ მოსვლია ღრმად ჩახედნა საქმის „საძირკველი“ და მიუდგომლად გა-

W.

მოეკვლია ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზები.

ყველა თითქმის ერთხმად დამნაშავედ სცნობდა ხოლმე ჩვენებურ მსახიობთ, უკიჟინებდა მის დაუდევრობას, ზარმაცობას, გაუნათლებლობას და სხვა... ასევე კიცხავდენ საქმის გამგებელთა და მეთაურებსაც.

ვერ ვიტყვი იმას, რომ ჩვენი მსახიობნი, თითო ოროლას გარდა, შესაფერად ყოფილიყვნენ მომზადებულნი იმ დიდი და მძიმე საქმისათვის, რომლის სამსახური მათ უკისრნიათ და თავს უღვიათ,

მაგრამ მე სრულებით არ თანაფუგრობლობ  
იმ სტერიოტიპულ კილვა-კიცხვას, რომელიც პირს აკერიათ ხოლომე ზოგიერთ მწერლებს და ჩვენი თეატრის ვითომდა კირისუფლებს...

მეტათ ადვილია კრიტიკა, უფრო ადვილია მოფიქრებული კიცხვა და ბუზღუნნი მაგრამ დიხსაც ძნელია საქმის კეთება, მიზეზთა კვლევა და მართებული გზის ჩვენება...

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ საზოგადოდ მთელი ჩვენი ცხოვრება და კერძოდ ყოველივე კულტურული ნამოქმედარი ამ ცხოვრებისა, და მათ შორის ჩვენი თეატრიც, „განსაკუთრებული“ პირობებში არიან მომწყვდეულნი...

ყველა გონება ფხიზელმა მეთვალყურემ ჩვენი ცხოვრების ამ კარგად უწყის, თუ საიდან წარმოსდგება ანუ რა ჰქნის ამ პირობათა განსაკუთრებულობას... არის ისეთი ძალა, რომელიც ჩვენდა უნებურად გვდღის, გვასუსტებს, გვაუფერულებს... ამას ზედ ემატება ჩვენი ეკონომიური უსახსრობა, ქონებრივი დაქვეითება...

ჩვენი თეატრიც და სცენაც ამ პირობათა ზედ გავლენის ქვეშ იმყოფებიან მიმდინარეობენ.

VI.

მაშინ როდესაც სხვაგან ნორმალურს პირობებში ჩვეულებრივის წესიერებით დაყენებული თეატრები სეზონის განმავლობაში წარმოადგენენ ხუთს-ექვს, ან სულ ბევრი, ათს ახალს პიესას, ჩვენში ამავე დროს უნდა დაიდვას ოცი და მეტი ახალი პიესა და ისიც „უნაკლოდ“.

საჭიროდ მიმაჩნია განვმარტო, რომ დასისა და მსახიობთა მუშაობის უნარსა და მეცადინეობის ინტენსივობის წარმოდგენათა სიმრავლე კი არ მოწმობს, არამედ ახალი მასალების (პიესების) კვლევა-განმარტება, ახალი ფორმებისა და ფერადების (როლების) პოვნა და გაპიროვნება.

ჩვენებური მსახიობნი იძულებულნი არიან სეზონში წარმოადგინონ და ითამაშონ 20—30 ახალი როლები, რის გა-

მოისობით მომეტებულ შემთხვევაში მიუხედავად ჩვენთა მსახიობთა დიდხანსისა და უნარისა, — ეტყობათ, ვთქვათ, მუშაობის, აჩქარებული მზადება როლებისა, დაუკვირებლობა, მოუშაადებლობა და როლის უცოდინარობაც.

ეს მოუშაადებლობა და „თათარიხანად“ მუშაობა აუცილებელია ყველგან, სადაც კი მსახიობთა როლის მოსამზადებლად გარდაუვალ პირობათა გამო, ეძლევათ მეტად მცირე დრო.

თეატრისა და სცენის მკოდნეთ კარგად იციან, რომ პიესა და როლის ჯეროვან მომზადებისათვის საჭიროა რეპეტიცია, რაც უნდა ადვილი იყოს იგი, არა ნაკლებ 15—20-ისა.

მერე ჩვენს სცენას, დაარსების პირველ დღიდან დღევანდლამდე, ჰქონია კი როდისმე ისეთი შემთხვევა, რომ პიესის მომზადებისათვის ათი რეპეტიცია მოეხერხებინოს? არა მგონია.


რა თქმა უნდა, ამისთანა პირობებში ახალი როლები არა თუ არას შესძენენ მსახიობის ნიქსა და უნარსა. პირიქით მსახიობთა აჩვევენ დაუდევრობას, „თათარიხანულ“ მუშაობას „იოლად გამოსვლას“ და ხელოვნობის მაგიერ ხელონობას...

ესლო ავიღოთ ჩვენი საზოგადოება. ჯერ მაგალითი არ ყოფილა რამ ჩვენში განმეორებულ პიესას საზოგადოება დასწრებოდეს. ჩვენებურ მაყურებელს განმეორებულ პიესაზე ქუდიც რომ შეუგდოთ თეატრში მანც არ წავა.

სულ ს'ვა რასმე ვხედავთ საზღვარგარეთ და რუსეთშიაც, იქ თუ პიესა საზოგადოებას მოეწონა, იმეორებენ მთელის თვეობით და წლობითაც. ასჯერ, ხუთასჯერ და ათასჯერაც.

შორს რაღა წავიდეთ, თვით თბილისშიაც, რუსული დასები პიესას სეზონის განმავლობაში იმეორებენ ოცჯერ და ორმოცჯერაც.

აი სწორეთ ამაშია მიზეზი ჩვენი სცე-



ნის სისუსტისა. ქართველი საზოგადოების განსაკუთრებულ ხასიათში და ჩვეულებათაშია ეროვნული სცენის ერთგვარი დაქვეითება, დაბეჩაეება.

უსათუოდ რამე გასასვლელი უნდა მოინახოს, რამე გზა უნდა მოიძებნოს აუტანელ მდგომარეობიდან.

# მაგლაცუნა.

(ერთი დღიურიდან)

## თარგ. ნ. ყიფიანისა.

როდესაც შემიყვარდა, დავახილვე და ბოლოს ცოლი შევიქენ, მე კარგად ვიცოდი, უმხურვალესა სიყვარულის დროსაც ვა, რომ იმ კაცს, რომელსაც მე გავუე ცოლად, როგორც უმეტეს ნაწილს, მამაკაცებისს, ჰქონდა თავის წარსული...

მაგრამ ამ წარსულს, —სიამრთლე რომ ვსთქვა, —ბევრს აზარად შევუწყენებოვარ... ეს იქნება იმიტომაც იყო, რომ მე ის წარსული ვერ წარმემდგინა... რაღაც იყო, მაგრამ შიშის, უკან მოგდებული, რაღაც ბურუსში გახვეული... და აღმაინაც თითქო სხვა იყო... იქნება იმის შეგნებთაც მომდიოდა, რომ მარტო ჩემს თავს არ იყო.

არას ისეთი წარმოდგენანი, რომელთაც ჩვენ, ქალები ხშირად ვურიგდებით ხელმე და ამის გამო, რომ ასე ვურიგდებით, წარმოდგენანი წარმოდგენათ აღარ გვჩვენებიათ, ჩვეულებრივ გაცვეთილ სიტყვებით იქცევიან და ამას მნიშვნელობის თათქმის აღარც ვა ვუთქმევდებით...

აღბით თავაღით ნახვა და ხელით შეხება არის სჭარბი, რომ უფრო მწვავეთ იგრძნოს კაცმა... ეს მეტადრე მე უფრო შემეხება, რადგან მოკლეიული ვარ წარმოდგენილ ახრებულს დასურათების

აი მაგალითი... ამ რამდენიმე წლას წინათ, ჩვენს ქვეყნით, ძირის სართულში მონუცეიული ქალი მოჰქალეს... ეს იყო სწორედ მამის, როდესაც რუს-აზნებელთა ომი იყო გახურებული და გასეთეობა სავსე იყო იმ დახრცილთა ხეობით, რომლებმაც სიფლავი მანჯურიაში გაითხარეს. ამ სეიბს ჩვენ ეგვლანთ ვკითხულობდით, მაგრამ ჩემთვის, რომელმაც ის მოკლეიული დედა-ბერი ვნახე, ვნახე იმისი გაყვითლებული სხე, სიფთქლებზე შავით შეკურნული სისხლით, გამოთხრელი ცალი თვა-

ღით და ჩავარდნილი ზირით, ჩემთვის ეს მკვდარი უფრო სწარული იყო, ვიდრე იმ დახრცილებიან სია, რომლებიც მე ვერ წარმომედგინა...

აი, აქაც იმ გვარი რამ იყო... მაგრამ რაც მე და მოკლეით გაიმბობთ.

მე გათხრავდი და თათქმის სიმა წელიწადი ბედნიერად ვცნობობდი...

სამა წლის შემდეგ ჩემი ქმარი, სიმსხურის გამო, სხვა ქალაქში გაგზავნეს. ოთხ თვეს დაჰყო იქ. ამ ხნის განმავლობაში, როგორც ეს იმის დაბრუნების შემდეგ გავიგე, —ქმარმა თურმე მიღალატა, მიღალატა ისე, მამაკაცურად, უსიყვარულოდ, გაუტაცებლად, მოწყენისა, ან, მეგანი, უფრო იმის მიხეზით, რომ მეტად დიდხანს იყო მარტო. ასეთ წუთიერ დახრცილებას ქალთან არაფერი ცვლილებას მასში არ მოუხდენია.

როდესაც ეს შევბრუნე, მთელი ერთი თვის განმავლობაში ახლო არ მიმივარებია. ვსტიროდი, ვატანჯობდი, მაგრამ... ბოლოს და ბოლოს ვაშტავე. აღარც ვა გამიხსენებია, თუ იყო რამე, სიღაც, ვიღასთანაც...

შემდეგ მაც რამდენჯერმე ვიდრე მოუხდა ჩემს ქმარს სხვაგან ეოფნა დიდი ხნობით, მაგრამ აღარ ვიცი, თუ ასევე როდისმე მიღალატა; არც მინდოდა რომ მცოდნოდა და არც ვცდილვარ რომ შემეტეო... თავაღები ავიხვიე...

ასე მიმიხსენებოდა... აი, ამ უკანასკნელ დრომდის, სხანმ ერთმა შემთხვევამ... უცხურმა შემთხვევამ, მთელს ჩემს ცნობრებაზე არ იმოქმედა...

ამ ამბავს, ვგონებ, ბევრი სრულიებით ვერ მიმიხვდებოდა... და თვით ჩემთვისაც ძნელი სიამბობელია, იმის მიუხედავად, რომ ვიცი ჩემი ხელ-ნაწერები თავის დღეში არაფის ხელში არ ჩაუვარდება...

ჩემი ქმარი აღარ მიუყვარს, არა უკეთ რომ ვხედავთ აღარ მიუყვარს კი არა, იმისი თვალები დასწავა არ შემიძლიან, ვეღარ ვიტან იმის არაღივი მივარებინ, იმის ადერს და ვიფიქრობ, რომ ჩემი წარსული ბედნიერება არას დროს აღარ დამიბრუნდება, არა, აღარ... ვკვარი უნდა დაესვას...

აი ეს როგორ მოხდა.

ზამთრის ზინს ერთი ჩემი შორეული ხათესავი ქალი გვეწვია. გასათხოვარი კი იყო, მაგრამ არც ძალიან ემწვიალი და თითქმის უსუსურიც, ქერა და ჭრბილიანი; ისეთი, რომლის მსგავსნიც ბევრნი არიან.

ჩვენს ქალაქში რამდენსამე დღეს უნდა დარჩენილიყო და ეს რამდენიმე დღე ჩვენს სახლს სანქიებში მხურვალე მანწილეობით გაატარა.

იმას და ჩემს ქმარს შორის თითქმის ერთბაშად დამყარდა ისეთი შეგობრული განწყობა, რომელიც არას დროს აღარ გადადის ხოლმე უფრო დასხლავებულზე და ეს განწყობილება ესაღვ დაჩხ იმათ შორის.

სანქი კი აი სიღიან დაიწყო.

სასტუმრო ოთახში სურათებს ალაგს ვუცვლიდით. ზინა (ჩემი ხათესავი ქალი) მძალდახერხებულ სკამზე შემდგარი, სურათებს ჭკადებდა და ჩემი ქმარი კი იმათ ძირიდან აწოდებდა.

იქ, სადაც ლურსმანი ძალიან მძლავრ იყო დარტყმული, ზინა ძლივს სწვდებოდა და ისიც ცერებსზე შემდგარი თუ, ამიტომ ერთი ფეხი როგორღაც დაუდდა და შეტრბტმანდა, შეინძრა სკამიც და ზინა უკვლავად ჩამოვარდებოდა, რომ ამ დროს ჩემს ქმარს ხელი არ ეტანა.

ეს ისე უხერხულად მოხდა, რომ ზინას სედატანი გაესხნა და დროდა დროდ ამოჭრილი ზერანგი და მის ქვეშ ფეხიფეხით თეთრი გულ-მკერდი ოდნავ გამოვრთა.

ერთი წუთი ძლივს იქნებოდა, რაც ის ჩემს ქმარს გულზე მაგრა მიხურტებული ეჭირა. იმან მშინათვე ძირს დაუშვა. ზინამ რომ გული გადაეღია დაინახა, მშინათვე გაიქცა და ჩემს ქმარს კი, დარწმუნებული ვარ, არც კი რამე შეუნიშნავს...

და კიდევაც რომ შეენიშნა, ამას არავითარ მნიშვნელობას არ აქვს შემდეგისთვის. ხანკვარ სართის შემდეგ ეს ამბავი უკვლავ გადაგვაგვიწვდა და აღარც კი გავგისწავებდა.

სადღე შემდეგ, ბინდისის, ჩემი ქმარი, ჩვეულებრივ, ეინულზე სცურავათ წავიდა. ბავშობიდანვე სმინდად უყვარდა იმას ეს მხირული საზამთრო გასართობი.

მე ჩემს ოთახში წავიდი და სვარძელში ხავწქი.

და აი... დაიწყო...

სეთი წამსიც არა ვწოლილვარ ასე, რომ უცრათ ის რაც სურათთან მოხდა. ესაღ სულ სხვახარად მძმუხვენს და თითქმის რადანამ ძლით წამომიყენა, რომ ჩემს ქმარს გამოვკიდებოდი... მე ეს არას დროს არ ჩამიღენია. როგორღაც უცებ მომივიდა.

რადანა მძიმე, დმტანჯველმა, უიმედო წინაგრძობამ შემიძერო, წინაგრძობამ კი არა თითქმის სრულმა რწმენამ, რომ რადანა მოხდა ისეთი, რაც აღარ გამოსწორდება და რამაც დამიხმო სრული სინათლე, სიცოცხლით სითბო გამოამცვლდა.

სხქაროთ ჩავიგვი, გავიბარე სხსლიდან და გავიქეცი... მახსავს, რომ ის ქუჩები, სადაც მე მივარბოდი, მიურუბიულიყვენს, ჩამობილელები და ხადვლიანნი, თითქმის იმათაც რადან იცოდნენ და ჩემთან ერთად დარდობდნენ.


საცურავო გვაქვს ქალაქს ვარეთ, ტყეში, გამოწმენდილ დედეზე. ვარშემო ხაძვი და ფეჭვი არტეია და იმას იქით ხაძხნართ ატეხილი, თადვლით დაბურული დაღვრემილ-მიტეხი ამართულან.

ჭეინავდა. გზაში, ლინთან მინსლავებულთი, გახადებულ კაცანს მიავწვია. ცეცხლი ქერქსლავავდა და ისიც მიშინებდა, ავრინებოდა და მძლავრ შავთ წასულ კამელში უთვალავი ხაძერწვლები ტრიალებდა. და ხაძერწვლებიც ხადვლიანად, მძიმეთ ტრიალებდნენ, თითქმის იმათაც იცოდნენ რამე.

გული თანდათან უფრო ხადვლით ამკვსო, მომეწურა...

— დმერთო... სუ თუ უკვე ვევალივებ დავკარგე სამუდამით?

გავხერდი მესერთან, ხის ჩრდილს ამოვე-



ფარე. ეინუღი სსხეებით იყო მხსნუღი და მოვარე აღმცერად ჭყოფდა მას ორად, ერთს გვერდს ჩრდილავდა, მეორეს ანათებდა. გასაღწარი ის იყო, რამ არავის ძებნა არ დამჭირებია... მე თავლებს ვხუჭავდი და რადესაც ზინს მიანდოვლებოდა, რადაც მიარაკუნებდა გულში:

— აი!..

და აი მეც ვხუჭავდი იმის მძალე ტანს, ქურქის თეთრ ბეწვს, ქურქის ქვეშაღანს ნახათ წამომდგარ გულ-მკერდს და რგვალი, ბეწვიათი ქუდაღანს გამთქვიწილ, დართვილულ ქერათმას... რა ლამაზი ჩანდა აქ, როგორი სიძიში, მომხიბვლელი!.. მე კი უსხური მეკონა!

აი ზინამ გასცურა ჩრდილში, რადაც შესძინა წვრილით, ვიღაც წამოიწოდა ჩრდილიდან და ზინაც იმის მკლავზე გადაესვენა.

ასინი თანდათან უფრო დრმად მიიწვედენ იქით და ასიც უფრო ახლო იკრავდა გულში. რადაც შემზარავი რამ იყო იმ სინაზესს, უღონობას და მორცხვობაში, რომლითაც ზინა თან უარობდა, მაგრამ თან მანც ემორჩილებოდა იმის მკლავებს...

ო, ამზარის ის შეიფარებოდა!.. შეეძლო შეჭვარებოდა!..

მე ხეს ამოვეფარე, რომლის გვერდსეღაც ვიდექი და ავანკავებულმა წავიხურხულე:

— აბა, ავტრე!..

და ისიც, თათქო ჩემ ხმას დაემორჩილდა ასე ახლო დაეკონა, რომ მათი სხის კარხევა აღარ შემეძლო.

ასე ხელ-გადახვეულები გამოვიდნენ იქიდან. მეც უკან გამოვეკვიდე... იმით ეს არ ესმდათ... მე უფრო ახლო მივეზარე... ბოლოს გვერდში მივსდევდი... იმით არ ესმდათ, არც ჭხუდავდენ...

ზინა თათქმის ნახევრად გადაწოლილიყო ომის მკლავებზე და ისიც ჩაღაზარაკებდა მძიმეთ აქმიხებულ და ის, რასაც მას ჩაღაზარაკებდა, იყო ასეთი მოურთიდეული, ასეთი უსიარცხელი, რის თქმაც მხოლოდ გამხერგებულ. თავ-დაუჭერელ, ავიორ-აწვეუტილ-ვნებთა აქლის დროს შეიძლება, როდესაც თავი არ გასწავს.

— მე გზხე შენ.. გზხე დღეს.. გასწავს სურათთან?.

— ჭო.. მე ის განკეპ.. მე ვიცრდი..

ამ დროს ზინამ თავლება ჩაბნია და ის კი მის განბობელ ბაკეს ხარბად დაქწოვა და უნებ კვხისით მოსწყდა მას, გადიგლო მკლავებზე და გააქნა, როგორც მხერმს ნდავლი..

მეც მას გვერდში მივსდევდი... ფეხები მეკეცებოდა, მაგრამ მანც მივარბოდი. სხელოში ხელი გამოვვარ... შეგძახე:

— დიმიტრი.. ღვთის გულანსთავის..

იმან ერთის თავლით აღმცერად გადმომხედა, უშველებული, სისხლ-მორეული, თათქო ნაცნობის და თან უცნობის თავლით და ისე უზომოთ იყო ვნებთ შეზურბობილი, რამე მე ვერც კი მიცნო, ვერც მიმიხვდა და ზირი იქით მიიბრუნა... და დავინახე, რამე მისი თათები ურფოღვით ზინას ტანს ჩაკვადნენ..

ასე მივარბინეთ ჩვენ სხლამდას... მივარბინეთ ისე მღე, რამე გზა არც კი შემამხნევია... ზინა სხლში შეიფარა, მე კი თან მივსდევდი და ვეჩურხულებოდი მომავლავი:

— დიმიტრი.. ღვთის გულანსთავის..

და აი, მშვენიერათ მახსავს, რამე ჩვენ ვეკლამ ბავშვების განათებულ ოთახს გვერდზე ვაუურეთ, ჩემი ვაჟი იატაკზე ცრდილობდა და არ შემოუხედნია, ძიძაც კარებთან იდგა და არც იმას შემოუხედნია. იყო სიწყნარე, სუფიგვდა მუდროება და სიმზვიდე კარშემო. სოღარი იყო სწორეთ...

იმან ზირდაზირ თავის კანბეტში შეიფარა, დაუშვა დასტზე და ტანს-განხდელმა დაუწყო კანის შემოგლეჯა და მოუთმენლობით დილეობისა, დუბებთან წვევტა...


— დიმიტრი... ღვთის გულანსთავის..

ის უურს არ მიგლებდა... იმან ის ჩემს თავლ-წინ ჩახურტა...

მამის შეგდრიალე, შეგდრიალე ასე, რამე ჩემსვე დრიალზე... გამომელავია...

— ლიზა, რა დავკმართა?

დმერთო ჩემო. მე ჩემს სავარძელში ვაწქეჯი. ეს თურმე სიზმარი იყო. თავზე ზინა მადგა სწითლით, ხამძინარევი, დათენთილი, ებ-ახვეული. დრძილი უსივდებოდა და დამარბული გამოიყურებოდა.



— შენ ვეიროდი, ლიზა...  
 — არაფერია...  
 ჯერ გონზე ვერ მოხსულიყავ და მთელი ტანით ვცხსტახებოდა.  
 — სმინდათა ვეიროდი მეტის მეტათ შე-  
 მამინე...  
 — არაფერია... შენ სად იყავ?  
 — ჩემს ოთახში... აჭა, წყალი დაღიე.  
 — მეც ხანბათ გადავუღახებ.  
 — დიმიტრი მოვიდა?  
 — არა ჯერ. მოგესიზმრა რამე?  
 — ჰე... არა... არაფერი...  
 — ჩემი ქმარიც მალე მოვიდა.  
 — მეც იყო ვახშამი და ვახშამზე, რაგონრც  
 უაგველთვის, ათას რამეზე ვღახტახებოდი და  
 მე ორივეს შევტყუროდი...  
 — არა, არას დრას, არას დრას ეს არ მხს-  
 ლებოდა ხამდვილათაც...  
 — მაგრამ შეუღამისას, რადესაც მე და ჩემი  
 ქმარი მარტო დავრჩით და ის მომიხსლოვდა  
 და ამის თვალეში ის-ის იყო ახლად ხსული  
 ტყუილი შევნიშნე, გულში რადაცა ამიბორჯდა


მომავლაც ტაღდა ზიზღისა, სიძულვილისა, შე-  
 ძატების და განზე გაფუდექი...  
 — რა დაგემართა... ლიზა?  
 — არ ვატოდი რა შეთქვა... მხლოთ უკან-  
 უკან ვიწვედი, აკანკალებული, მდღრედილი  
 ზირით და შევტყუროდი...  
 — მაშინ იმას შემიხებოთ გამიმუცრად:  
 — რა იყო, რა ვქნა, რა?  
 — არაფერი, თავი დამხებე, დამხებე  
 თავი... და იმისი ხელები ძლით გადავიხრო-  
 ლე.  
 — ჩემი ხათესავი ქალი წავიდა, დიდი ხნისა  
 წავიდა... ქმრისათვის კი აქამდინ ვერ მიხს-  
 ტავებოა... ვერც ვახტავებ იმას, რაც მე  
 თვითონ დავინახე, ვახზე ჩემის თვალათ...  
 — ვინა რამ სიხმარი იყო, მხლოთ სიხმარ-  
 ი, მაგრამ მე ვერ დამივიწყენა იმისი სხე, იმისი  
 თვალეები, იმისი აცხსტახებული ხელები,  
 მთელი ის სხარელი წამემა! იქნებ ეს  
 სიიუვერ იყო... მაგრამ მე არ შემიძლია არც  
 დავიწეებ, არც ვახტავებ... არ შემიძლიან...  
 არ შემიძლიან...

კუჭის მიქელაძის  
 სავლავთან.

დ. შესნი.

ცივმა და ხრბმა მიწამ კარი გააღო და  
 საუკუნოდ შევირდომა მშვენიერი ჭახუკი!  
 რა დიდი ხანია მას აქეთ, რაც მწარე კენ-  
 სით ვიგლოვეთ სისო მიქელაძის სიკვდი-  
 ლი... დღეს ის სიკვდილი გავგიახლდა. მწარ-  
 რეთ აგვაკენესა კუჭიამ. რა საიმედო ორი  
 ახალგაზდა და რა უდროოთ... გონებით  
 კეთილშობილნი, ფაქიზნი ზნეობით, ცო-  
 დნით აღჭურვილნი რამდენს კარგს შეძენ-  
 დნენ ორივე ჩვენს დაქვეითებულს სეზოგა-  
 დობას. არა მარტო წოდებით იყვნენ თა-  
 ვადნი ორივე—გონებითაც, სულით, გულ-  
 ლით და ამ უხვ სალოროთი რა განძი იქ-  
 ნებოდა ეს ორი ახალგაზდა იმ წოდები-  
 სათვის, რომლის სალორო, სალორო გო-

ნებრივი და ქონებრივიც დროსა და ვი-  
 თარებისა გამო თან და თან ცალიერდებ-  
 ბა... და განა მარტო ამ წოდებისათვის —  
 სრულიათ ქვეყნისათვის!... მაგრამ... რო-  
 დესაც კარგი ვინმე კვდება — ხალხი იტყ-  
 ვის: — ღმერთსაც კარგი უნდაო. ძალ-  
 უმადლოთ შეურიგდება ადამიანი ამ აზრს,  
 თუ კი კარგი სხვა კიდე ბევრი რჩება  
 უკან და ამ კარგებს ერთი, ორი კარგის  
 დაკარგვა უფრო გაამხნევეს, გააკარგებს...  
 ჩვენ კი ცოტა ვართ. ცოტა გვყავს და  
 მიტომაცაა, რომ ასე მწარეთ აგვატირებს  
 კარგისა და საიმედოს დაკარგვა... ჩვენო  
 კარგო კუჭია! იცოდე, — შენი ასლი  
 სისო საყვედურით შეგხვდება... იქნებ  
 იმის ობოლ სულს პირველ გაუხარდეს



შენიდანახვამ, მაგრამ როცა შენს ცხედარზე მეგობარ თავან დადენილს ამდენს მწარე, ზღვა ცრემლს შენი შნავს, აკვნესდება თვით და აგაკვნესებს შენც... იკვნესეთ თქვენ იქ ჩვენ აქ. კვნესა თქვენი სიკვდილი, კვნესა ჩვენი ცხოვრება. წაიღე, კუჭია, არა მარტო თვალთავან, თით გულის სიღრმედაც ამინაწური ჩვენი ცრემლები... სიციცხლეში მშფოთარი იყავ, მოუსვენა-

რი! ებრძოდი აღტყინებით, სულის სისწრაფით ამა ქვეყნის სიღუბლირეს. კეთილისათვის ღელავდა შენი არსება და თითქოს ბუნებამაც იგრძნო ეგ: თოვლის ზვირთი, აი ქარბუქი... თვით ბუნება აღელდა, ოდეს საუკუნო სარეცელთან მივასვენეთ შენი ცხედარი! ო, რა ცუდს დროს გვიღალატეთ ორივემ, შენა და სისომ!....

# ბააფთრებულ დედა.

(La mère sauvage.)

დრამატული სცენა ერთს მოქმედებათ

(გ. დ. მანასაძის მოახრობიდან)

ს ა ზ ა ნ დ ა რ ი

ქნ. ელისაბედ ჯამბაკურიან — ორბელიანი.

თარგ. არ. აფალიშველი.

## მოქმედნი პირნი:

- დედა. მონუცა, დანაოკუბული. შავი, ნძეღა მამაკაცის მავარი.
  - ჰანსი. — 25 წლისა
  - ფრიცი. 20 წლისა, ზირწითელი და მხიარული.
  - კარლ. — 23 წლისა, თხელი და ნაზი
  - ვილჰელმი. — 30 — სქელი და წვერანა
- კაპიტანი მახს ფან ებერსტეინი, გერმანელი აფიცარი.  
 ფორტალიონი, ცხიმიანი მთლიანი.  
 ჯარის კაცნი, გლეხები, ცნობის მოყვარენი, ბიჭები და ქალები.


სცენა წარმოადგენს დაბურთულს ტყეს ვოუში. ზამთარია მარჯვნივ, ანლოს ტყის მცველის პატარა სახლი (ქონი); სახლს ზეით სხენი აქვს, საცა ასულა მიდგმული კიბით შეიძლება.

## პირველი სცენა.

**ჰანცი, ფრიცი, კარლ და ვილჰელმი.**  
 ფარდას ახდასას ჰანცი გარუბის წინ ეზოს ჰგეის, ფრაც თოგზე გასამრბათ სარკესს ჰგეუნს. ვილჰელმი შეშას ანბას, ჯარლს ვაიკუბი ხელები უწევა და რაღაც ჰსხვს უსტეუნს.  
**კარლ.** მე ჩემი საქმე თქვენზედ აღრე გავათავე...  
**ფრიცი.** (მიუბრუნდება) აი შე ზარმაცო!  
**კარლ.** ზარმაცოო! ნეტა ერთი შენ მენა-

ზე! მაგრამ — მე რომ ვმუშაობდი შენ კიდე გეძინა!  
**ფრიცი.** ძალიანი საქმე კია სატრფოსთან წერილის მიწრა!  
**კარლ.** მერე რაო? შე საწყალო ჩვენ ხომ ყველასა გეყავს სამშობლოში სატრფო!  
**ფრიცი.** მე არ მყავს.  
**კარლ.** შენ ტუჩებზედ რძეც არ შეგშრობია და დიდების საქმეში კი ერევი აი აბა ჰკითხე ვილჰელმს, განა მას იქ ერთი ლამაზი გოგო არ უცდის?





**ვილჰელმ.** (თავს ასწევს მუშაობიდან) ეჰ! მეიქ ცოლი მყავს, ოთხი შვილი!

**ჰანც.** (ცოცხს დაეუფება) მე კიდე მოხუცი დედა მყავს, ქვეყანაზე ჩემს მეტი არა გააჩნია რა.

**ფრიც.** დედაჩემი ჯერ ახალგაზდაა მსუქანი; თეთრწითელი, მთელს დღეს სიცილში ატარებს. ჩემი დები ჩიტებსავით მხიარულნი არიან. მთელს დღეს მუშაობენ, მერე კი საღამოზედ, მღერიან ერთბუთადხრის გარშემო, ან სახლის ბჭესთან, (ცნებობს იწვევს ხალხურ სიმღერას. ზიარეული მუხლას შემდეგ მისი ამხანაგებიც იწვევენ მღერას).

**ვილჰელმ.** (შეშას ადებს) აბა, ახლა კი წავალ, კრას დავანთებ.

**ჰანც.** სოფელში არ წავიდეთ?

**კარლ** მაშ, კაცო! იქნება კარგი რამ ვიშოვოთ სადილისთვის. ვილჰელმ, შენ არ წამოხვალ?

**ვილჰელმ.** (კარებში) აი ცეცხლი კი ავანთო და ხელად დაგეწევით. (სამაგე წადანდექს ჰანცს მღერაის და ნელა მიდის, ვაღჭკეღში გამოვა სხალადან და სიმღერით სტენას გაიფლას).

**მეორე სცენა.**

დედა სოფაჟ.

**დედა.** (სახლიდან გამოდის) დახე! ჩემი გერმანელები საღაცე წავიდნენ. მართლაც რომ კარგი ბიჭები არიან. აი სარეცხიც დაურეცხიათ, სახლი დაუგვიათ. ცეცხლი გუზგუზებს... წავიდე წვენი მოუმზადო. (სახლში შესვლას ახარებს, ამდრას მოკსმის ძახლი).

**მესამე სცენა.**

იკვე და ფრიტადაინა.

**ფორტალიონი.** დილაშემვიდობისა, დედი!

**დედა.** გამარჯობა, ბატონო ბონიფას!

**ფორტალიონი.** აი, წერილი მოგატანე!

**დედა** წერილი ჩემი ვიქტორისაგან!

**ფორტალიონი.** ის ბიჭი ხომ კარგათ არის?

**დედა** წერილებს ხშირათა მწერს ჩემი ბი-

ჭი, ამ ტყეში გადაკარგულს თავის დედას როდი იფიწყებს.

**ფორტალიონი** მართლა, ასე მარტო რომ სცხოვრობ არ გეწინიან?

**დედა** რისა უნდა მეშინოდეს? ეს ტყე მე მიცნობს, მგლებიც მიცნობენ. მაგრამ პირს ხომ გაისველებთ, ბონიფას?

**ფორტალიონი** მაგაზედ უარს არ გეტყვი. (შევა და ანაყს გამოუტანს). ღმერთმა გაცოცხლოს, გაუმარჯოს თქვენს ვიქტორს და საფრანგეთის მხედრობას!

**დედა.** საფრანგეთის მხედრობა!.. შესაძრწუნებელი არ არის საწყალი ხალხი ასე იულიტებოდეს და არ იცოდეს რისთვის იულიტება! ჩემი ბიჭი ესაა აქ იქნებოდა, მშვიდათ, ბედნიერი, ტყისმცველი, როგორც მისი მამა იყო, რისთვის წაიყვანეს იქ? და ეს ბიჭები რომ ჩამისახლეს აქ, განა თავის სახლებში უფრო ბედნიერები არ იქნებოდნენ? განა ამათ კი არა აქვსთ ხელობა რამე, ოჯახი? ოჰი, ბიძია ბონიფას, დიდი ძლიერი ხალხის მოგონილია. იმათ ომი ქალაქებსა და მიწებსა ჰმატებს, ჩვენ კი, პატარებს, კაცებსა და პურს გვაკლებს.

**ფორტალიონი** მართალია, მართალი.


**დედა** (ძლიერათ) დიად, მართალია! ნახვამდის! (გავა)

**ფორტალიონი.** ნახვამდის, დედი, ნახვამდის.

**მეოთხე სცენა.**

დედა შევა ოთახში, გამოვა და კარებზედ ჩაშაჯდება.

**დედა** წვენი ცეცხლზედა სდვას.... (ექვსს ჯიბეში, ამოიღებს წერილს, სათვალეს გაიკეთას და ძლიერს კითხულობს) ქალბატონო სოფაჟ ეს წერილი თქვენ კი ამბავს არ მოგიტანთ. თქვენი შვილი ვიქტორი გუშინ ყუმბარამ მოჰკლა, სწორედ შუაზედ გაგლიჯა. მე სულ ახლოს ვიყავი, იმიტომ რომ ჩვენ ომში ერთად ვიყავით, ის მე თქვენზედ მელაპარაკებოდა, მთხოვა შემეტყობინებინა იმავე დღეს თუ მას რამე დამართებოდა. მე მას ჯიბიდან



საათი ამოუღე, რომ თქვენ მოგიტანოთ, როცა ომი გათავდება. მეგობრულს სალამს გიძღვნი. ცეზარ რივო.

23 პოლკის მე 2 რე კლასის ჯარის კაცი.

**მეხუთე სცენა.**

სოფელი და 4 ჯარის კაცი

(ისმის ხმაურებას, საცაღი და ოთხი გერმანელი გამხმნდებთან სცენას სადრამეში სოფელში მამწევედუღა ნადირაფით იტყობება, ხელებს უჭერს წერილს და სჭეუჭნის. სასტიკად დგება უნრემდოთ, ხმა ამოუღებდა უცდას ოთხს გერმანელს. ერთს მათგანს ხელში კურდღელი უჭირავს და დედას ანიშებს, ვაი რომ გვექნება სადილოთ).

**დედა.** თქვენ ისაღიღეთ, ყმაწვილებო, მე ავათა ვარ, მე არასა ვჭამ. (ანიშებს, რომ მუცელი სტიკავს; ჯარის კაცნი ხმაურებით შინ შედიან).

**მეექვსე სცენა.**

დედა მარტა. შადის ხელს და მის ჯარს უკად ჩამოჭდებს, ტრადიკულია დაცხვავს ესტებას სახეზედ.

**დედა.** ესენი შხიარულნი, გასუქებულნი, ქერა და თეთრ წითელნი არიან. შენ კი ამათ არა ჰგავდი, ჩემო ბიჭო, ჩემო პატარა, ვიქტორ! შენ ხესავით ხმელი იყავ, მის ქერქსავით. დაღვრემილი შენ მოწყენილი, შავი და ჩუმი იყავი, როგორც ეს შენი ტყე, დაგიჭირეს წავიყვანეს იმ ქვეყანაში, საიდანაც აღარა ბრუნდებიან.

ჩემო ვიქტორ, ჩემო პატარა ვიქტორ! შენ ბრწყინვალე თვალეები გქონდა, არწავისებური ცხვირი, გამხდარი, მაღალი მგლის მსგავსი ტანი დიდი ღამაზი უღვაში. შენ კობხათ იგრეხავდი ხოლმე შენს უღვაშებს და მეკი ველარ ვნახავ, ვერც შენ ბრწყინავს თვალებს, ველარც როდის, ველარა ვნახავ! ჩემო ბიჭო, ჩემო პატარავ (ტარის ყრუთ და ხანგრძლივით. ისმის გერმანელების ხუმრობა, უცბათ თვალებს მოაქმენდს და წამოდგება)

**მეშვიდე სცენა.**

ჯარის კაცებს ჩიბუხები უჭირავთ. მხიარულნი და კმაყოფილნი ჩანან.

**ფრიც** შესანიშნავი რომ იყო ეს კოლონელი!

**ჰანც** გემრიელიც!

**ვილჰელმ** კარგაც რომ შევწვი! რას იტყვით ჩემს მზარეულობაზედ?

**ჰანც** მე პირველი ხარისხის ჯილდოს გადალევ! მაგრამ ჩვენებური ძეხვისთანა არა იქნებარა...

**კარლ** ჰო, ძეხვები სახლში, საღამოს როცა ყველა ერთაა ვართ...

**ფრიც.** ერთი ჭიქა ლუღით...

**კარლ.** ცოტა ლორიც...

**ვილჰელმ.** იქვე პატარა ბიჭები, ხელებს რომ სწევენ ცხელი პურისაკენ...

**კარლ.** ღამაზი გოგოებიც, კარების წინ რომ გაივლიან ხოლმე... ეჰ, საკმარისათ მოგვეცხო ამ ოხერმა ომმა!...

**ვილჰელმ.** ეჰ, მე რაღა ვსთქვა!...

**ფრიც.** ეჰ. მეც მაგ დღეში ვარ... მაგრამ იცი რომ რა, ეს ჩვენი ბებერი ბორცოტი არ არის, ძალიან კარგა გვიღოს.

**ჰანც.** მართალია, მაგრამ წელან რა მოუვიდა? კაცს ავით ეგონებოდა.

**ფრიც.** იქნება თავის შვილზედა ფიქრობს.

**ჰანც.** თავის შვილზედ?

**ფრიც.** ჰო!

(დედა სოფელ დაღვრემილია ხელს დგება და ჯარის კაცებისაკენ შადის)

**დედა.** (კაღჭკუმს) თქვენ რა გქვიანთ?

**ვილჰელმ.** (გაკვირსებულა) ვილჰელმი.

**დედა.** ვილჰელმ რა, ვინ? აი ერთი თვეა რაც თქვენ ჩემთანა ხართ, და თქვენი სახელი გვარიც არ ვიცი. (ათხივე ერთმანეთს უტყობანს გაუგებრათ, არ ესმით) ვილჰელმ? ვილჰელმ ვინ? შენი გვარი, მამიშენისა? არ გესმით, ვილჰელმ? მამათქვენის გვარი? ვილჰელმ ვინ?

**ვილჰელმ.** (უცბათ გაიგებს, საცაღათ) ჰო, ვილჰელმ შულცი, ვილჰელმ შულცი.

**დედა.** (ფრთხს) შენი გვარი, პატარავ?

**ფრიც.** ფრიც ბაუერ!

**დედა.** თქვენი?

**ჰანც.** ჰანც მაიერ.

**დედა.** თქვენი, გამხდარო?

**კარლ.** კარლ შმიდტი, თქვენი მონამორ-



ჩილი, ბონში ულამაზეს ქალის გრეტ იუ-  
ლერის დანიშნული...

**დედა.** (თათქას გაკვეთილს იმეორებს)  
კარლ შმიდტი, ფრიც ბაუერ, ჰანც მაიერ  
ვილჰელმ შულც... ეს საკმარისი არ არის,  
ყმაწვილებო, ადრესებიც მინდა.

**კარლ.** ადრესი?

**დედა.** დიახ, ადრესი, რომ როცა წა-  
ხვალთ მოგწეროთ ხოლმე. (სელოთ ანიშებს)

**ჰანც.** (ამოიღებს უბის წიგნს, ამოხეუვს ფურ-  
ცელს, სწერს და თან ამბობს) ჰანც მაიერ,  
შილერ გასსე, ბადენ ბადენი.) კარლს მია-  
წვდის).

**კარლ.** (სწერს) კარლ შმიდტი, ვინტერ  
შტრასსე, ბონნი, რეინი.

**ვილჰელმ.** ვილჰელმ შულცი, ტირგასსე  
ბერლინი.

**ფრიც.** ფრიც ბაუერ, დრებდენი, პრაგის  
ქუჩა (ჰეიდენს და აწვდის Sauvage, რომელიც  
წერაღთან ერთად ჯაბეში ჩაიღებს)

(დედა ჩუმათ დასაჯდომით წაა. ოთხივენი  
გრძობდებიან კარბთან და წკლანდელს სიმე-  
რას აწეებენ. დამდება. მოასმის მწუხრის ზა-  
რის რეკა Sauvage დგება და გულ-ხელ და-  
კრეულია ცას შესტკერის.)

**დედა.** (უგბათ, ზარის ხმა რომ მისწედ-  
ბა) წავალ, ოთახს მოუმზადებ. (აიღებს კა-  
ბეს და სხეუნის გადებულს კარებს მათეულებს,  
მერე სხლს უკან მიამდება და დაბრუნდება  
თავის დიდი ბლუჯით, რომელიც სხეუნში  
აქვს. ამას რამდენჯერმე გაიმეორებს. ჯარის  
კაცნი ჯერ მღერით შესტკერაან და მერე კი  
შეკლიან მხიარულათ, მთაქვთ თავა და აწვ-  
დაან სოფაუს, რომელიც კიბეზედ დგას).

**ფრიც.** (დადღაღი სიცილით). აი ერთი  
კონაც, ბებია სოფაუ.

**ვილჰელმ.** მე ორი მოვიტანე.

**ჰანცი.** აი კიდევ, აი კიდევ მომაწოდებ  
ტვირთი, კარლ! (კანებს ერთმანეთს აწვდაან  
თანდათან ბხელდება. მთვარე ძლიერ ძირს რე-  
გორც წითელი ბურთა ამოდას. სხეუნი თავით  
მოთუნდა.)

**დედა.** თქვენ ამალამ თბილათ დაგეძინე-  
ბათ.

**ოთხივე.** ჰო, დიახ, ღამეს კარგად გავა-  
ტარებთ.

**დედა.** აბა ახლო კი ჩამოვალ.

**ვილჰელმ.** (გმსკოფილის სიცილით) ავალთ.  
ლამე მშვიდობისა, ბებია სოფაუ!  
**სამნი დანარჩენნი.** (მისდევენ) ღამე მშვი-  
დობისა, ღამე მშვიდობისა!

**დედა.** ძილი ნებისა. (დაჯდება ხის ჯარ-  
ზედ და რამდენიმე ხანს გაუნძრევლათ არის.  
სხეუნიდან მოასმის ხმა, ხან სიმღერა, სიცი-  
ლი, მერე თანდათან სიჩუმი ჩამოვარდება და  
ჩქარა ხვრინვაც მოასმის. სოფაუ დგება, მიუ-  
ახლოვდება კიბეს და უურს უვდებას. მერე ავა,  
კარებს ჰეკტავს და კიბეს აცლას. გაა და მე-  
რე თავა შემთაქვს, რომლითაც სამზარეულს  
ავსებს. სხეზე სმინელი სიძულვილი და ს-  
საწარვევითაღი გადაწვევითაღი ეხატება. ზა-  
ტარა ხანს შესტკერის თავის საქმეს, მერე  
გამთაქვს მუგუსალი და თავას წაუკადებს.  
ისევე ჯარზე ჩამოვარდება. სხლს რომ მთლათ  
ცეცხლი მთდება, იქურბობს რომ განათებს,  
მხეუცი წამოვარდება, მთელთ, ველურათ, იცა-  
ნის, მერე ისევე დაჯდება და უძრავათ რჩება.  
მოასმის სასაწარვევითაღი ხმაურბა ოთხის  
ჯარის კაცისა, ზარი ირეკება, გერმანელი ჯა-  
რის კაცნი, ქალები, გოგონები, ბავშვი სოფ-  
ლადას მობრბანს. სხლი ინგრევა; სოფაუ რჩე-  
ბა ჯარზედ, გაუნძრევლად, მშვიდი და კმა-  
ყოფილი)

**მერვე სცენა.**

**კაპიტანი.** (მიუახლოვდება) თქვენი ჯარის  
კაცი სად არიან?

**დედა.** (ხელით ცეცხლს უჩვენებს) იქ.

**კაპიტანი.** ცეცხლი როგორ გაჩნდა?

**დედა.** მე წაუკიდე!

**კაპიტანი.** თქვენა? ეგ შეუძლებელია!

**ერთი დედაკაცი.** უბედურებამ მთლათ გა-  
ღარია!

**მეორე დედაკაცი.** ამ ქობის მეტი რომ  
არა ჰქონდა რა.

**დედა.** ამ ქობისა და ჩემი შვილის მეტი!  
თქვენ ის კი გავიწყდებათ ჩემი ბიჭი! ქვე-  
ყანაზე, იმის მეტი არავინ გამაჩნდა. მე  
იგი წამართვეს და იქ პრუსიელებთან წა-  
იყვანეს მათმა ზარბაზანმა მომიკლა ჩემი  
შვილი. მე გიჟი არა ვარ, გესმით გიჟი  
არა ვარ! მე ეხლა სრულს კუთახედა ვარ;



გაქო მაშინ ვიყავ, როცა გერმანელებს უვლიდი; კვებავდი, ვისთვის? ბატონო კაპიტანო, რისთვის? განა ჩემს ვიქტორს გაუფრთხილდა ვინმე? ამ პრუსიელმა ძაღლებმა განა მას მოუარეს? დაუხუჭა ვინმემ მას უკანასკნელათ თვალები? ეჰ, იქ ოთხი დედაა, რომლებიც თავის შვილებს მოუთმენლათ ელიან. დაე უცადონ! დედა სოვაჟიც ასე ელოდა თავის შვილს. ხა, ხა, ხა! (ჯიბიდან ორ ქაღალდს ამოღებს, სთავადაკებს იკეთებს, არჩევს ცეცხლის შექსეჯ და ჯერ ერთს აჩვენებს) აი ეს—ვიქტორის სიკვდილია. (შეორეს აჩვენებს) აქ კი ამ გერმანე-

ლების გვარებია—ამ ამბის მისაწერად ზიტანს ფურცელს აძლევს) გორ მოხდა ყველაფერი, უთხარით მათს მშობლებს, რომ მე ჩავიდინე ეს, ვიქტორია სიმონმა, სოვაჟათ წოდებულმა. არ დაგავიწყდეთ! (ჯარის კაცია შემოქვეყიან ხაშტებით) კაპიტანი მოიცათ! დაიკით ეს ქალი და ჯარის უფროსს მიჰგვარეთ: სამართალს იქ მიიღებს.

ფარდა.

## ლიტერატურული შენიშვნები.

II.

იპ. ვართაგავა.

როგორც პირველ ჩვენს წერილში აღვნიშნეთ, ჩვენი ახალგაზდა მწერალი გამოდის ისეთის ნაწარმოებით სამწერლო ასპარეზზე და ისეთის ღირსებებით, რომლებიც მოწმობენ, რომ მწერალი ნიჭიერია, ტემპერამენტით, მკვირცხლი ფანტაზიით და საღი გონებით არის დაჯილდოვებული და რომ, თუ განავითარა მინიჭებული ნიჭი, თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს ჩვენს ლიტერატურაში... კიდევ ერთი-ორი მხატვრული, ცოცხალი, წარმატებული, მასიამოვნებელი, დამაიმედებელი ნაწარმოები, ახალგაზდური კალმის მოსმა, ფანტაზიის ათამაშება, ნამდვილი რეალური სურათის დახატვა—და მერე უცბად სუსტდება მისი აღმაფრენა: იშვიათად გამოდის სამწერლო ასპარეზზე და ბოლოს ან მთლად შესწყვეტს ან ნაძალადევად, უფერულად, უსხვიოსნოდ იმეორებს, გადაღეჭავს იმას, რაც უთქვამს და წინეთ დაუსურათ-ხატებია... აი სამწუხარო ბოლო საზოგადოდ ჩვენის ახალგაზდა მწერლისა! აი იმათი საზოგადო ბიოგრაფია! სწავთა შორის თხუთმეტ—თვრამეტ, წლის წინეთ, გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე ი. ელფეთერიძე. ცოცხლად და მხატვრულად იყონ დაწერილი მისი პირველი ნაწარმოებნი; ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდნენ


ისინი მკითხველზე. გვახსოვს, როგორის გულის ფანცქალით ველოდათ შეგირდები ყოველს ახალს ფელეტონს (მგონი „ივერიაში“ იბეჭდებოდა) და სიამოვნებით ვკითხულობდით. რასაკვირველია მაშინ ჩვენ არ შეგვეძლო მათი კრიტიკულად დაფასება, მაგრამ ინსტიქტიურად ვგრძნობდით მათი მხიარულ მშვენიერებას, ბუნებრივობას... და მერე ბ. ელფეთერიძის ცხოვრებაში განმეორდა იგივე, მოვლენა, რაც აღვნიშნეთ საზოგადოდ ქართველ მწერლების ცხოვრებაში: მან უცბათ შეასუსტა და რამოდენიმე ხნით მთლად შესწყვიტა თავისი ნიჭიერად დაწყებული ლიტერატურული მოღვაწეობა. ახლა ხანდის ხან გამოდის ელფეთერიძე ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში; მის ნაწერებს ახლაც ნიჭი, დაკვირვება; მშვენიერი მეტაფორებიდან ნაკრთობ-ნაქედი ენით არიან დაწერილნი (მაგ. „მარანში“), მაგრამ დიდი წარმატება, ნიჭის ზრდა-განვითარება არ ეტყობა. დღევანდელი ელფეთერიძე, არამც თუ არ აღემატება, ჩამორჩება კიდევ დამწყებ ელფეთერიძეს... ასეთსავე და უფრო დამაღონებელ და დამაფიქრებელ სურათს ვხედავთ ივ. ზურაბი შვილის და დეკანოზიშვილის სამწერლო ბედ-

იღბალში. ამათაც ეტყობ: თ ნიჭი. ტყულად დასწამეს ზოგიერთ პოეტ-მწერლებმა ბ. კიტა აბაშიძეს მიდგომითი მათი ქება. ნიჭს გზის ჩვენებაც უნდა. კრიტიკა არამც თულამფასებელია ხელოვნურ ნაწარმოებისა, არამედ მწერლის ხელმძღვანელიც, მისი წამქეზებელიც. გაიხსენეთ ბელინსკი და მისი სტატიები ლერმონტოვის სამწერლო ასპარეზე გამოსვლის გამო. უცნობი ახალგაზნად ფუქსავატ ცხოვრებაში გართული აფიცერი მან, ოცდა სამ პატარა ლირიკულ ლექსებისათვის თითქმის გენიოსად დასახა, გეტეს, შილლერს და პუშკინს შეადარა. ადვილად შესაძლებელი იყოს, რომ ცხოვრების ქაობს ჩაეძირა, ჩაეფლა ლერმონტოვის ტალანტი და შეეწყვეტინებინა მხატვრული შემოქმედება. აბა მაშინ ხომ ბელინსკის აჩქარებულ ერიტიკოსად ჩასთვლიდენ?! მაგრამ ასე არ მოხდა... ბ. კიტა აბაშიძეს ზოგიერთები ნიჭის „წესის ამგვებლს“ უწოდებენ, უსაყვედურებენ: „ვინც მან აქო, ისინი ლიტერატურა-ხელოვნებისთვის ჩ არა მიიცვალენო“. ეს ფაქტიურად შეიძლება მართალიც იყოს. მაგრამ აქ ჩვენი მწერლობის მიმოხილვების რა ბრალია?! ასეთი ადრე დავარდნა და მერესიკვდილი ხომ ჩვეულებრივი და თითქოს აუცილებელი მოვლენაა ჩვენს მწერლობაში! ჩვენი მწერლები მოგვაგონებენ იმ ყვავილებს, რომლებიც დათესვის შემდეგ ამოვიდნენ, მაგრამ რადგანაც გამოფიტულ და უნაყოფიერო ნიადაგზე იყვნენ ამოცენებული, ჩქარა გახმენ... და რასაკვირველია, რომ ასეთს მდგომარეობაში წესის და პანაშვიდის გადახდა ჩვენ ხშირად ძლიერ ხშირად შეგვხვდება!

ჩვენ პირველ წერილის ბოლოში შევნიშნეთ, რომ პოეზია ცხოვრებაა. მართლაც, ვინც არ იცნობს თვისი ერის და კაცობრიობის წარსულს და აწმყო ცხოვრებას, მას არაფერი ღირს შესანიშნავის შპექმნა არ შეუძლიან, გინდ რომ ბუნებით დიდის ნიჭით იყოს დაჯილდოვებული. ცხოვრების შესწავლა კი შეიძლება ორ საირად: პრაქტიკულად, პირისპირ

დაკვირვებით და ისტორიულ ეტნოგრაფიულ და ხელოვნურ ლიტერატურულ ნაწარმოების მეცნიერულათ შესწავლით. ცნობილია, მაგალითად, რომ პუშკინს შესანიშნავად ჰქონდა შესწავლილი მსოფლიო ლიტერატურა. კერძოთ განსაკვირვებელის სიღრმით რუსული სახალხო და ხელოვნური სიტყვიერება, რუსული ისტორია და მისი ძველი წყაროები. ამ ცოდნით სარგებლობდა ის თვისი ხელოვნურ ნაწარმოებში და ამისათვისაც გახდა ის ნამდვილ ეროვნულ პოეტად. „ოხ, რა მშვენიერი და აზრიანი არიან ჩვენი ზღაპრები“, „მათ დიდის სიამოვნებით ვისმენ და ვსწავლობ და მით ვამთავრებ და ვასრულებ ჩემს აღზრდას“. „ბორის გადუნოვის“ შესახებ პუშკინი ამბობს, რომ მან მისი შექმნის დროს ღრმად შეისწავლა არამც თუ კარამზინის ახლად გამოსული ისტორია, არამედ ყველა ის წყაროები, რომლებიც ჰქონდა მას ნაჩვენები. „ჩვენს მატინებშიო“, ამბობს პუშკინი, „მე ვეძებდი აზრთა გამოსახულებას და ენას იმ დროისას“.

როცა გოგოლმა განიძრახა მალოროსიულ ცხოვრებიდგან მოთხრობების წერა, აი რას სწერს თვის დედას: „უმორჩილ ესად გთხოვ, ძვირფასო დედავ, თავი შეიწუხე ჩემი გულისთვის: თქვენ მშვენიერად იცით ზნე—ჩვეულება ჩვენი უკრაინელებისა, ამისათვის ნუ დაიზარებთ ჩვენი მიწერ ომწერის დროს მათ შესახებ მომწეროთ. ეს ჩემთვის დიდად. დიდად საჭიროა... მე მოველი თქვენგან ჩვენებურ დიაკნის მორთულების სრულს აღწერას, ზედა ტანისამოსიდგან ჩექმებამდე. და თანაც ახსნით სუყველაფერს ამას რას ეძახიან ჩვენი ძველთა-ძველი, შეუცვლელ—გადაგვარებულნი უკრაინელები. კიდევ გთხოვთ დაწვრილებით აღწეროთ ჩვენებური ქორწილი... კიდევ რამდენიმე სიტყვა კალანდობაზე, ივანე კუბლოზე, ფეროებზე... კიდევ ჭინკებზე, ეშმაკებზე, კულიანებზე, ხალხში ბევრი ცრუ-მორწმუნოებაა გავრცელებული, ბევრნი უსაშინელია მო-



თხრობანი, გადმოცემანი, მრავალგვარი ანეგდოტები. სუყველაფერი ეს ჩემთვის დაუფასებელი იქნება.“ აი როგორ ემზადებოდა გოგოლი, როდესაც განიზრახა თვისი „Вечера на хуторе“<sup>\*)</sup>ს დაწერა. მან ზედმიწევნით ოცდა ხალხის ცხოვრება, მაგრამ ამით არ კმაყოფილდებოდა და სხვებსაც სთხოვდა მიეწოდებინათ მასალები. და ამ ხალხის, საზოგადოების, თანამედროვე ცხოვრების ღრმა ცოდნამ, ერთს წარსულ ისტორიის შესწავლამ და შეგნებამ შეუწყვიტელმა დაკვირვებამ შეჰქმნეს გოგოლის უკვდავი ეროვნული და სასაკაბობრიო შემოქმედობა, მათ აამეტყველეს და ფრთა შეასხეს მის ფანტაზიას.

ჩვენ აქ ორი, ყველასთვის ნაცნობი, მაგალითები მოგიყვანეთ იმის დასასურათებლად, თუ როგორ ემზადებიან და რანაირად ეცნობებიან ნამდვილი მწერლები იმ ცხოვრების ფაქტებს, რომლის დასურათება მათ განუზრახავთ. ასეთი მაგალითები შეიძლება ათასობით მოვიყვანოთ... ერთის სიტყვით, არ ყოფილა ასეთი შემთხვევა, რომ რომელიმე მწერალს საამაყო რამე შექმნას და ამავე დროს მას არ ჰქონოდეს საფუძვლიანად და ღრმად შესწავლილი საზოგადოების, ერის და კაცობრიობის ცხოვრება!

ყალბი აზრია, როდესაც ამბობენ, ვითომც მხატვარისთვის ისე საჭირო არ იყოს ყოველმხრივი განვითარება, განუწყვეტელი შრომა—დაკვირვება. ვიღამაც სთქვა,

რომ უშრომ-უჯაფოდ გენიოსობა შეუძლებელიაო, და მართლაც არისო. მაგრამ აიქის შემწეობით შეიძლება მხოლოდ ფანტაზია ლალათ აათამაშოთ, შეჰქმნათ მშვენიერი გარეგნული ფორმა, მაგრამ იდეას აზრს მხოლოდლა ცოდნა-დაკვირვება და განვითარება მოგცემთ: მხატვარ-მწერლობისთვის აუცილებლად საჭიროა გონების განვითარება, ცოდნათა შეძენა მუდმივი დაკვირვება.

(შემდეგი იქნება)

# ნაკადული.

## ა. გაფრინდაშვილი.

ბალახებში ჩამალული,  
მოჩუხჩუხებს ნაკადული;  
იკლაკნება, მობუტბუტებს  
და უტოკავს გრძნობით გული.

ბუჩქის ფესვებს მორცხვად ჰკოცნის  
შხეფით რწყავს ნაზ ყვავილებს;  
დედავ, ცრემლი რად ჩამოსდის  
სევდით სავსე შენსა თვალებს?..

# ყოღრანი. \*

მინაატურა

ვის არ სმენია მისი ბედითი ჩხავილი?  
ვისი დაბღვლებული სული არ იცნობს  
მის ფრთათა ბარტყუნსა?..

შორს უდაბნოში, სილაში არის ჩაფლული ცხორების წიგნი და მგზავრი, სიცხით მოქანცული კითხულობს შემდეგ მწუხარე სტრიქონებს: „ეს მაშინ იყო როცა, გოლგოთას მთა გორას ღამემ მოხვია ბნელი სუდარა, რათა ადამიანის ცოდვები დაემალა. გაფითრებული სჩანდა მთვა-

## ბ. ტაბიძე.

რე, თავი ღრუბლებისათვის შეეფარებინა,  
რადგან რცხვენოდა კაცთა სიავის, „იყავ,  
ვით მამა სრულიო“ უანდერძა ადამიანს  
ჯვარზედ მილურსმულმა, მაგრამ მან ლახვარით განიშორა ის, ვისაც უნდოდა  
მხაკვარი ღმერთად გარდაექმნა. მოწყენით იდგა გოლგოთას ბედი. ცელქი ნიავისა ამ მწუხარ ღამეს არ სისინებდა.  
ჯვართან დახრილი ცრემლებით რწყავდა  
ჯვარცმულის გვამს მაგდალინა და ჯვარიდან ჩამონაწვეთი აისხლი, მაგდალინას  
ცრემლებთან შეერთებული, ნიაღვარი  
ვით მიქშუოდა ძირს ჯულღუმში, რომ

\*) მრავალ შეცდომებისა გამო, რომელიც იყო წინა ნომრებში, ამ ლექს ვბეჭდავთ ხელ მეორედ. რედ.

მუნ დაემარხა კაცთა სიკვდილს. ამ დროს მოფრინდა, ის, გულსაკლავი იყო მისი ჩხავილი, ლეშად მიიჩნია ყორანმა ჯვარცმული ღმერთი და უწყო კორტნა. ძმად იყო მაგდალინას ვედრება, საშინელი ფრინველი, ვისი თვლებიც ღამის წყვდიადში მხესავით ანათებდა უფალს კორტნიდა.

— იყავ წყეული, ღალატყო ხმითა დიდითა და მოსწყდა ჯვარცმულს ყორანი, მაგდალინას მიაფრთხეადა და მას თვალი წარბთა სიწყვდიადე ყორანს გადაედო და შავი გულით ერთიან გაშავდა. ამისთვის, იტყვიან მგონებები სატრფოს თვლებით დაბნედილები, რომ ყორანის

ფრთას მიაგავს შავი თვლებიო. დიხანს დასტრიალებდა წყეულით შეკრული ყორანი გოლგოთას და ბოლოს გონარეული გაფრინდა შორს... შორს ამ დღის შემდეგ ის წინამძღვარია უბედურების. იუდასაც ეწვია ძეწნახედ ჩამოკიდებულს და ამოკორტნა თვლები.

და ეხლაც შავი ყორანი, გულითაც შავი ვერ ივიწყებს ლეშს ნადიმზედაც იესოს წყევლას და სახარლად აბრიალებს თვლებს.

ასე დასწყევლა ჯვარცმულმა ყორანი, წინამძღვარი უბედურებისა.

## ჩემი ტრაგიზმი.

(სახუმარა)

ასკანელი პრო — ფია.

ყველაფერს თავისი ნიჭი და ტალანტი წდომებია, თორემ როგორ გამიწყობოდა ღმერთი, რომ მეც არ შემეთხზა ერთი ლექსი, ან ნოველა და ან პრაზა. პირდაპირ უნდა გამოვტყდე და ვაღიარო: როდესაც ვკითხულობ ამა თუ იმ ახალგაზდა პოეტის ლექსებს ან ნოველებს, წარმოიდგინე თქვენ, მეც სურვილით გატაცებული დავჯდები, ხან აღმა ვიციკირები, ხან დაბლა და ხან გვერდზე, ეგებ მოუზას მოუხმო თქო, მაგრამ არ შეგქამოთ ქირმა (ხარბინის), მუზის აჩრდილიც არ ფიქრობს ჩემთან ახლოს გავლას არა დასურვილი (მერე როგორი?!) მაქვს, მეც პოეტი ვიყო, მეც მიწვევდნენ სალიტერატურო საღამოებზე. ხშირად უძილოც ვრჩები ასეთი სურვილის გადაძვირდე არ ვიცი. სწორეთ ვის მივმართო, ვის განვაკურნიო თავი. ისეთი რეცეპტი რომ ვინმე მომიზადებდეს, დამერწმუნეთ, რომ მას ღმერთად ვილოცავ. გადავული ჟურნალს, ამოვიკითხამ: სევდის ყვავილი, კ. აბაშისპირელისა, სევდის ნახველი (უკაცურად ნალველი) ტ. ტაბიძისა. სატრფოს გულმკერდი, ი. გრიშაშვილისა, ფიქრები, ოც-

ნებები, ბორკილები, ვარსკლავები, ღრუბლები; რუხადის, ჩხიკვაძის, ქუჩიშვილის, ლეჩხუმელის, თურდოსპირელის, ახოსპირელის კიდევ პირელის და რავიცი რამდენი პირების (განა შემიძლია ჩამოვთვლა?!)

ყველა ამეებს რომ ამოვიკითხამ და ჩემს სახელს ვერსად ვპოულობ, სიბრაზისაგან ღამის არის გავევიდე. არა, ერთი მაცოდინა რა დამიშავებია მე ისეთი (ცრემლსაც ვერ ვიკავებ) ჩემს მუზის წინაშე რომ ბუზების მეტს არას იმეტებს ჩემთვის. მეტი, რაღა ბევრი გავაქიანურო, თქვენც ხედავთ ეხლა რომ სურვილი ძლიერ კარგი მქონია, მაგრამ მთელი ჩემი ტრაგიზმი იმაში მდგომარეობს რომ ამ ჩემს კარვს სურვილს წინ ელობება ისევ ჩემივე მუზა, მკაცრი, შეუბრალებელი, ჩემი ტრაგიზმის შემქნელ-მშობელი. დასასრულ, მომეხმარა ღმერთი რომ იმ. ვართავავას ლიტერატურული შენისშენები წავიკითხე „ცხოვრ. და ხელოვნება“ მე № 8 — ში თორემ, ისეთი ლექსი მქონდა გაშანშალებული დასაბეჭდათ რომ წავეკითხათ რედაქციაში, ან და

შემთხვევით თუ გინდ შეცდომით დაბეჭდათ, მომეჭრებოდა უმუზო თავი. სასეა, ბატონებო და ქალბატონებო, მამართლენო და ნათესავო მსაჯულნო, თუ ასეთი შენიშვნებით არ ჩამოიშორეთ \*) ჩემისთანა პოეტები, იმ დღე მოვე-

\*) მე არ ვამბობ და არც შეიძლება რომ ისეთი ახალკახა პოეტები ჩამოშორდეს საქართველოს, როგორც შანშიაშვილი, რუხაძე, შიომღვიმელი, ბაბლინა და კიდევ ბევრი ასეთები. არამედ არის კიდევ ერთგვარი, სუა ახალ მოვლენილი, ქანდრაკულნი პოეტები, რომლებსაც ჩემ-

სწრებით ჩვენს კურთხეულ საქართველოში, რომ გამართულ სალიტერატურულ სადამოხე სტენა თუ იქნება სახელობის სების ავტორებით, თორემ, მაყურებელთ თუ თქვენ ნახავთ მაშინ, ორივე ყულები ძირში მომათაღეთ.

სავით ღალატობს მუზა, და თუ მაინც პოეტობენ და არ იშლიან, ეს მხოლოდ ან წამბაძველობით უნდა აიხსნას, ან და იმ პოეტობის სურვილით გატაცებით, რომელმაც ჩემში საშინელი ტრაგიზმი შექმნა. ღიახ ასეა.

ასკ. პრ-ფია

# უცნებელი პეტარდები.

(კვირიდან კვირამდე.)

გ. ა. — ციხელი

**ლიგა თავაშვებულ „სიყვარულისა“.**  
რა მომჯადოებელი, აღმაფრენი თავდამავიწყებლი და პატოსურა მ მეცნე აა თავისუფლება თაის პირდაპირი მნიშვნელოვით!.. რამდონათაც ნარ—ეკლთ, უძირო ხრამებით, ფრილო გადასავლელ კლდეებთ და ჯოჯოხეთურის სობოროტითაა სავსე მისკნ მიმავალი ბილიკი, იქდე ად ადამიანური მიმზვიდველობითაა იგი მოსილი და უქმე ნავი ეღვარეით გაცისკროვებული.


ა) „განწრულ სული კვეთებო“ სამეფოსკე მისწრაფებით კაცობრობის რაოდენს საუკეთესო წარმომადგენელს, გმურულის შებრძოლებით, დატომენბიათ საამქვეყნო წამო ხორციელი ყოფა შეუწირავს ოჯახური და პირადი კეთილდღეობა და უანგარო — ზვარაკად მუტენია მის პრიწყინვალე საკურხეველზედ თვის აჩაყი სულით აღტყინებული არხეობა...

მაგრამ უბედურობაც იმაშია, რომ ეს მალალ ხარისხიანი და უზღო გრძობა—გონების ნაყურნი მცნება ყველას თავისებურად გადუმახინჯბია და ბოროტად ხსაროს თვისი ბინძური და ქვენარე მოქმედების განსახორციელებლად. მაგ. კაპიტალისტი—მწარმოებელი მოწადინებულისა „თავისუფლად“ — ხელ შეუშლელად— ყვლიფოს უილაჯობა—უსახარობით წელში გაწყვეტილი, ლუკმა პურისთვის შრომის მამცებელი მუშა; მემამულე-მებატონეს უნდა იმგვარისავე „თავისუფლობით“ ტყავი შეიდჯერ გააძროს გლეხს; საზოგადოთ, მძლავრის, უფლება

აღტურვილის, წადლია არავინ შეზღუდოს მი ი „თავისუფალი“ თარეში უძლურის, უუფლებოს დაჩაგვრა დაბეჩავებაში: ბერ ილიადორს, დეკანოზ ვოსტოროვს და ძმათა მათთა უნდათ „თავისუფლად“ ხელები აფაურონ რუსეთის 160 მილიონ მ ხოვ ებთა სულშ: რუს პატრიოტ წვერთა კავშირის და სახელმწიფო სათათბიროს საკრებულოს წვერებს ტიმოშკინ—პურიშკევიჩ—ბარკოვები და გაზ. „ნოვოე ვრემია“, თვისი ბერადი—იუდა მენშეკოვიტურთ, გულით მოწადინებულნი არან იმგვარის „თავისუფლებით“ გადაყლაპონ სხვა არარუსთა, ეროვნების წარმომადგენლები, რომ კრინტი არავინ დასძრას და თვით ყლაპაც „თავისუფლად“ ხდებოდეს, რომ ყელზედ არავინ დაადგეთ; სოლოოაკელ სომხების სხვილ ჯიბა ნაწილს მიზანია, რომ სხვა ეროვნების წარმომადგენლებთაგან ხელი არავინ შეუშალოს იმათ ქალაქის სამმართველოში „თავისუფალ“ პარპაშს და სხ. და სხ.. ღიახ, ყველას თავისებურად ესმის და ხმარობს თავისუფლებას. თავისუფალი სიყვარულიც თავისებურად გაუგია ერთ ჯგუფს თფილისში მოსწავლე ახალგაზრდობისას და დაუარსებია ეგრედ წოდებულ... „წითელ ოთახში“ „ლიგა“ (კავშირი) თ ვისუფალ სიყვარულისა“...

რა თქა უნდა, ბუნებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ორ სქესის ახალგაზრდა პირთა შორის გაცხოველებულ სულიერ კავშირთან ერთად, ხორციელი ლტოვილებაც, რასაც ისინი ხშირად უდროვოდ, მაგრამ ბუნებრივადვე თავდავიწყ-





ბამდე იჭყავს ხოლმე. ესეთ ლტოლვი-  
ლება—გატაცებას ხშირად რაღაც არა  
ამ ქვეყნიური ელფერი ჰმოსავს, როცა ამ  
ახალ აზრდათა ხასიათის, რწმენის და მიდ-  
რეკილების ერთსულოვანებაში თან ჩაქ-  
სოვილია გატაცებულივე სურვალი, შე-  
კავშირებული ძალით, ღრმად ჩაუკვირდ-  
ნენ და შეისწავლონ ცხოვრებისაგან წა-  
მოყენებული მრავალი „წყეული კითხვე-  
ბი“ და მაგრად ხ ლი ხელს ჩაკიდებულნი,  
გადაეშვნ ცხოვრების გააფთრებულ ტალ-  
ლებთან საბრძოლველად, რომ. შეძლების  
და გვარად, სამსახური გაუწიონ საერთო,  
საზოგადოებრივ კეთილდღეობ ს მიზნის  
განახ-რციელებას.

მაგრამ, როცა ცხოველთა შორის მა-  
ღალ აზროვნებით დაჯილდოვებულნი  
„ბუნების მეფენი“ იკრიბებიან „წითელი  
ოთახის“ მოწაქლულ ჰაერის საყნოსველად  
და ჯოგოსნურათ, ოთხფეხა ცხოველები-  
ვით მხოლოდ თვისი ქვენარა, პირუტყ-  
ვულ ჟინის ურთიერთ შორის დასაკმაყო-  
ფილებლად, — ესრეთი, უკაცრ-ვი პასუხია  
„თავისუფლება“, სწორეთ მოგახსენოთ,  
ვერ მოუხარშავს ჩვენს შემეცნებას და  
ოდნავა, არის საპატიო მიზეზები ვერ  
გამოგვიძებნია. მართალია ამ სავალალო  
მოვლენას ღრმად უდევს ფესვები თანა-  
მედროვე უემურ სოციალურ პირობებში,  
მაგრამ მაინც გული ვიკვნესით, ვით უც-  
ხად დანსხვრეულ თქვე საყვარელ და  
ძვირფას ვაზის წინ, რაც ხედავთ, რომ  
ეს საზოგადოების ფხიზელი ნაწილი და  
შომავალი იმედ, — მოხარდი აგალგაზრ-  
დობა, შებრძოლების მაგიერ, თვითონაც  
გაჰყოლია ცხოვრების ბინძურ ტალღებს...

\* \*

არ ვიცათ ვერეთვე რომელი... ტალღის  
ბრალია რომ რუსეთის უმაღლეს სასწავ-  
ლებლებში სწავლის ნორმალური მსვლე-  
ლობა დარღვეულია და ზოგიერთნივერ-  
სიტეტებში, როგორც გაზეთები გვატყობი-  
ნებენ, პროფესორები, — ეს მაღალი პრინ-  
ციპების მქადაგებელნი და ყოველგვარ ძა-  
ლადობა-ბოროტების სასტიკი მტერნი, პო-  
ლიციელების მფარველობის ქვეშ კითხუ-  
ლობენ თურმე თავიანთ ლექციებს. ოდეს-  
ის უნივერსიტეტში კი, იმ მიზნით, რომ  
სტუდენტობაზედ საგრძნობელი გავლენა  
იქონიოს... ლექციებმა ჯერ-ჯერობით,  
შიგ უნივერსიტეტში ჩაუსახლებიათ ოთხი  
პოლიციის მოხელე და 30 კაი ზორბა

„გოროდოვოი.“ ამ გვარად იქ უზოუნ-  
ველ უყვიათ.. მოძღვრება მათთვის  
წმინდა მეცნიერებისა...

\* \*

უზოუნველ ჰყა პრინციპი თვისი „მოძ-  
ღვრებისა“ „ტიფო. ლისტოკის“ რედ.- გა-  
მომცემელმა ქრისტიფორე ხაჩატუროვმაც  
და „დამატკიცა“ თვისი აღებ-მიკვებობის  
გაზეთის დახლებედ. რომ იგი, ქალაქის  
არჩევენების კითხვებში, როგორც ყოველ-  
თვის, წმინდა წყლის კოსმოპოლიტ —  
ინტერნაციონალისტია (თითქოს ამაში  
ვისმეს ეჭვი ჰქონდა!..) და რომ უფრო  
თვალხილულად დაასაბუთოს თვისი სიტყ-  
ყები, წინადადებას იძლევა ქალიქის საბ-  
ქოს ახალ წევრად ჩემი ცნობილი... სა-  
ბელ აწყვეტილი ძმა ივანე ხაჩატუროვი,  
აირჩიეთო. უხადო და სპეტიკ ნიმართუ-  
ლებას რომ იტყვიან, — სწორედ ისეთი  
უნდა ...

\* \*

მიმართულება კახეთის რკინის გზასაც  
ჯერ დანამდვილებით არ არის გამორკ-  
ვეული, მაგრამ აშკარად ეტყობა, რომ  
ეს გზა ქვემო ქართლზედ გაივლის, რად-  
განაც იქ თურმე ვიცნ არა მგონია, გლე-  
ხებში ფულებს აგროვებს... რკინის გზა-  
ზედ მომუშავე პრეტელების მოსაწყობათ...  
მომავალი გვაჩვენებს თუ რა გამოვა ეს-  
რედ „საქმიანობისაგან“.

\* \*

და ის კი დანამდვილებით შეგვიძლია  
შევატყობინოთ მკითხველს, რომ ახლო  
ხანში გამოვა მეორე კრებული ი. გრიშ-  
შვილის რომანისა, რომლის სათაურიც  
იქნება „კონახედ ოცნება“ დი მიედღვ-  
ნება ახლად დაარსებულ „თავისუფალ სი-  
ყვარულის ლიგის მანდილოსან წევრებს.

\* \*

იწერება ვერეთვე თურ მე ერთ ჯგუფ ჩვენ  
ახალგაზრდა ბელეტრისტებ და პოეტების  
შეთანხმებულ-შეერთებულ ძალით, ერთი  
მეტად საინტერესო ტრაგიკომედია, რომლის  
სათაური იქნება: „ნოემ რომ ერთ-  
ხელ ინება“...



რედაქტორ-გამომცემელი

ნ. ლორთქიფანიძე.

# განწმენდის სასახლე

ქართული  
ბიბლიოთეკა

შოთა დადიანი.

დრამა 3 მოქმედებათ.

(ფ ა ხ უ რ ი ც ხ ა ვ რ ე ბ ი დ ა ნ).

მოქმედება სწარმოებს მე-XX საუკუნის პირველ წლებში.

**ლევანი.** დამშვიდდი ჩემო ძვირფასო: რაც იყო ნუ მოიგონებ. წარსული ამიტომაცაა წარსული, რომ მოგონებაც არ არის საჭირო. ახლა ჩვენ მხოლოდ წინ უნდა ვიხედებოდეთ და მიზანს სიყვარულში ვეძებდეთ (გადაჟხვევა).

**ანა.** (უცებ თითქმის წაღაცამ შეაშინა) ლევან, გიყვარვარ?

**ლევანი.** (გაკვირვებული) რათ მეკითხები, ანა?

**ანა.** რა ვქნა, ლევან, ასე მგონია ჩემი ბედნიერება ხან მოკლეა მეთქი და თითქოს მუდმიმივი ტანჯვისათვის დავბადებულვარ მეთქი ხომ გიყვარვარ, ლევან? არ მილალატებ?

**ლევანი.** (აღფრთხვანებით და აფერხსახათ) ოღონდ შენ გიყვარდე, არ შემიძლო ჩემო სიცოცხლე და უსინდისო, გაიძვრა, მატყუარა, გარყვნილი. დაცემული შენი სიყვარულის მკვლელი ვიყო, თუ შენი სახის, შენი ჟუჟუნა თვალების, შენი მშვენიერი სახის გარდა, სხვა რამე მივიჩნიო ან ღმერთათ, ან ძმათ, ან მშობლებათ, ან მეგობრათ, თუ კი რამეს სალოცავათ შენს გარდა მუხლი მოუყარო. მიყვარხარ და მეყვარები ისე, როგორც გაზაფხულის პირველი მზის სხივები, როგორც ალერსით გადაშლილი ყვავილი, როგორც გრილისიყვარულით მოსისინე ნიავი; როგორც ეს მშვენიერი, ზურმუხტოვანი მხარე. ჩემთან რისი უნდა გეშინოდეს ჩემო სიცოცხლე, ჩემო სულის დგამ? შიშს მხოლოდ მაშინ აქვს სიყვარულში ადგილი, როცა იგი სუსტია, დაუსრულებელი და ნუ თუ შენი სიყვარული ჩემ-

დამი სუსტი და ჯერ კიდევ უსრულია? ანა ეს რა სთქვი, რა გამაგონე?

**ანა.** (წამუდღე ლევანის სიტყვებს ნახა დამიღიოთ ისმუნდა) არა, არა ჩემო ლევან. (კაფქსება) ჩემი სიყვარული უსაზღვროა და დაუშრეტელი, მაგრამ მაინც მეშინია: ხანდახან ელვასავით ვამირბენს ხოლმე საზიზღარი ფიქრები თავში. ხომ იცი ჩემო კარგო, რომ ადამიანს, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე ტანჯვა, ვაებაში გაუტარებია, ბედნიერი დღეც, საამური წუთიც, სიზმარი და მოჩვენება ჰგონია. მეც ასე ვარ: ვშიშობ არ შემიძლო. ექვიანი გამხალა მკაცრმა დაუნდობელმა ბედმა (ორავე ხელს მხრებზე დაადებს) შემომფიცე ლევან, რომ გიყვარვარ, რომ ჩემს გარდა სხვას არ შეიყვარებ. აკი შენ თითონ მითხარი, რომ სხვა ვერ მოგცემს იმას რის მოცემაც მე შემიძლია; შენ თითონ არა სთქვი, რომ შენი სალოცავი ხატიც კი ვარ? გამაგონე, გამაგონე კიდევ ეს სიტყვები და თუნდაც მერე მოვკვდე არ ვინაღვლი... სასიამოვნო იქნება ჩემთვის, სიყვარულში დარწმუნებული მოვკვდე.

**ლევანი.** გეფიცები ანა, ჩემს შენდამი სიყვარულს, არასოდეს, არც ერთ პირობებში არ ულალატო.

**ანა.** (თვალებ დასუჭული ეურხ უკაქს) ჩემო სიცოცხლე!

**ლევანი.** განა შემიძლია გილალატო, რომ მოვინდომო კიდევ? განა შეიძლება ადამიანი გაექცეს უცნაურ, ჯადოსნურ ძლიერებას?

**ანა.** (იმავე პოზაში) რა ლამაზათ ლაპარაკობ, ლევან!

**ლევანი.** განა შეიძლება მშვენიერ სუფრას, მშვიერი არ მიეკაროს და მოწყურებულმა ადამიანმა ღოჭი წმინდა, ანკარა წყაროს წყალი გადაღვაროს? არა ჩემო გვრიტუნია, ჩემო თვალის ჩინო! ნურაფრის შიში ნუ გაქვს. შიში შენისთანა პიროვნებისათვის არ არის მოგონილი. იგი დაუთმე სხვას, იმათ ვისაც ძალა არ შესწევთ ერთნაირათ აიტანონ მწუხარების სიძნელე და ბედნიერების ტალღა. შენ ჩემო მშვენიერო, — დაღალული ხარ, მოსვენება გეჭივრება და მალეც მოისვენებ. მაშინ ჩვენზე უფრო ბედნიერი არავინ აქნება ქვეყანაზე. შენ მალე დაინახავ, თუ რა ზომამდე შეიძლება ადამიანმა სიყვარული გააღვივოს და ცეცხლი აღაგზნოს (ჩაკვარებიან კრამახეთის).

(საჩუქვა. გადასკეუღნი სხედან რამდენიმე ხანი. ანა გამოფხიზლდება და წამოდგება) დღეს გეყოფა.

**ლევანი.** ეს რა ამბავია? დიეტა დამინიწნე?

**ანა.** დიახ! არ ვარგა, შეეჩვევი.

**ლევანი.** მე კიდევ შევიძლებ დღეს გულზე მიგიკრა!

**ანა.** დღეს? რანაირათ?

**ლევანი.** რანაირად და... (უცებ) აბა თუ მიხვდები! იფიქრე!

**ანა.** (ჩაფიქრდება) ვერა, ვერ მივხვდი. ფიქრიც რომ არ შემიძლია? (საღიფთო) ტვინი შეტკინება მაშინვე.

**ლევანი.** (ხუმრობის კილოთა.) ტვინი იმას ეტკინება ვისაც იგი აქვს!

**ანა.** (ხუმრობათჳე) მაშ შენ იმიტომაცაა, რომ არასოდეს არ გტკივა.

**ლევანი.** (ღიმილით) ახლა შენ მეტყვი არ მაკოცოვო! აბა როგორ შემიძლია არ გაკოცო, როცა ასეთი მოსწრებულნი სიტყვა პასუხი გაქვს? (კატხის)

**ანა.** ნუ ღრიალებ შე გიყო! ჩემათ!

**ლევანი.** (ტუჩზე ზეფს მიიფარებს) ჩემი თავი ახლა ზღვის პირათ მეგონა. ვაი თუ ვინმემ გაიგონა! ივანე ხომ შინაა?

**ანა.** ნუ გეშინია! ივანე შინ არის მაგრამ ვერაფერს ვერ გაიგონებს. მისი ოთახი

შორსაა აქედან, შემდეგში უფრო დინჯათ მოიქეცი, ნუ ცელქობ... შენცაა მთავარი ახლა: სად და როგორ გნახავ დღეს?

**ლევანი.** როგორ და დღეს სუყველა უნდა დამეპატიჟოთ.

**ანა.** სულყველა?

**ლევანი.** ბარემ არც მე მინდა სუყველა, მაგრამ რა გაეწყობა: ჩვენ მაინც ვიშოვით თავისუფალ დროს.

**ანა.** მერე და დღეს რამ გაფიქრებია?

**ლევანი.** განა დაგავიწყდა? დღეს ხომ ჩემი დაბადების დღეა?!

**ანა.** (მხარულათ) მართლა, შენი დაბადების დღეა! მერე აქამდი რათ არ მომავონე, მოგილოცავდი რამეს!

**ლევანი.** განა ახლა არ შეიძლება?

**ანა.** ახლა? ახლა რა მოგილოცო? (ჩაფიქრდება) აბა! მეტი არაფერი მაქვს ამ წუთას: მიიღე საჩუქრად ესეც, ესეც, ესეც (თან კატხის).

**ლევანი.** მე კოცნა არ მინდა! თუ შეიძლებოდეს დაიბრუნეთ სულყველა უკანვე ესეც, ესეც, ესეც (თან კატხის)

**ანა.** (მომარდება) კარგი, გეყოფა!

**ლევანი.** მჯერა, მჯერა... მეც ვატყობ, რომ მყოფნის (ამ დროს მოისმის სახის ხმა)

**ანა.** ჩუ! მგონია ვილაც მოვიდა. შეიძლება იოსები დაბრუნდა. არ მინდა მარტო გენახოს აქა. თუ გკითხოს, უთხარი არ გინახივარ. (ავტყებს და მიდის).

**ლევანი.** ეს ადვილი საქმეა. (ფეჟანი ტოტა ხსნს ოთახს დათვადაურებს შემდეგ დიდადს მიუჯდება).

**იოსები.** (შემოდის და თან მთაქვს იდღაშა ქადადებში) დაჰკარ, დაჰკარ ჩემო ლევან! ყოველთვის დაკვრა სჯობია, მაგრამ თუ შენ დაგკრეს, ეს კიარ ვარგა. (ფეჟანი მიუგებებს. ოსები მიასეღ-მაასეღავს) მარტო ხარ? სად არიან ჩვენები?

**ლევანი** (ერთმანეთს ზეფს ჩამოართმევენ) ქურდი რომ ვიყო, ამ ოთახის წაღება არ შეიძლება, თორემ უსათუოდ მოვიპარავდი. აგერ ნახევარ საათზე მეტია, რაც აქ ვარ და არავინ არ გამოძხედა!

**იოსები,** ბოდიშს ვიხდი, ჩემო ლევან,

რომ მოუწყენინხართ, მაგრამ მე არა ვარ დაბნაშავე: სტამბაში ვიყავი და ვერ მოვიცალე.

**ლევანი.** (ღიმილით) რას ამბობ, იოსებ: მე ვიხუმრე და შენ კი თავის მართლებას მოჰყევი? განა სტუმარი ვარ აა ოჯახში?

**იოსები.** (მიჰკაკვს ლევანს სკანდალურად და ორავუნა სხდებთან) მართალი ვითხრა, ჩემო ლევან, შენი ბრალია, რომ ადარ გერიდებით. შეგეჩვიეთ და რაკი ხშირბში-რათ გხედავთ, უკვე დაჰკარგე სტუმრის ფასი.

**ლევანი.** დიდათაც მიხარის. მართალია შენ და სამსონმა ჩემზე უწინ გაათავეთ უნივერსიტეტი, მაგრამ მე მაინც თქვენს ამხანაგთ და მეგობრათ ვსთვლიდი და ვსთვლი ახლაც ჩემს თავს; და თუ ჩვენს შორის რაიმე „ცერემონიამ დაიჭირა ადგილი, ეს ძლიერ სამძიმოა, არა სასურველი და საწყენიც იქნება ჩემთვის. ერთად ერთი ნაცრობი და მეგობარი ჩემთვის ამ მხარეში თქვენა ხართ. ჩამოსვლისთანავე, ხომ პირველათ თქვენთან მოვევდი და მოგილოცეთ სასიამოვნო ნაბიჯი. (გითამ უცებ გაასხენდება) მართლა, ანა ხომ აქ არის? ვერც ნინო და სამსონსა ვხედავ!

**იოსები.** ანა ალბათ ჩემს ასულს უფლის: ხა! ხა! ხა! ხა! როგორ მოგწონს, გულ ახდილათ მითხარი, ჩემი „სასიამოვნო ნაბიჯი“? განა შენ წარმოიდგენდი როდისმე, რომ მე ცოლს შევირთავდი და ისიც ანას? ფიქრობდი?... მაგრამ შენ ხომ ანას არ იცნობდი ადრე!!

**ლევანი.** რათა? განა არა გქონდა ამის უფლება.

**იოსები.** (გაწყვეტანებს) თუ ღმერთი გწამს მაგას ნუ იტყვი! შენ თითონ გრძნობ ალბათ, რომ გულახდილათ არ შელაპარაკები, მაპატიე რომ ასე პირდაპირ გეუბნები ამ სიტყვას და ცოტა არ იყოს, უხდელათ მოგექეცი. მაგრამ შენ იცი, მე პირში თქმა მიყვარს. შენ ჩემო ლევან ანა ახლა გაიცანი, როცა ამ მამულში გადმოსახლდა: მე კი მას პატარობიდანვე ვი-

ცნობ და დღემდისაც ვერ ამიხსნია, ვერ მიმხვდარვარ: რათ დასთანხმდა ქაქუცაძე ლობაზე (მაუზა... ცოტა ხანს შეგეძრე რეთ განაგრძობს) ჩემი ასული ჩემსავით მახენჯი დაიბადა. ჩემზე უარესია, ნამდვილი მაიუშუნია... მე კი... მე კიდევ იმედი მქონდა, რომ აქნება ვსცდებოდე მეთქი და ჩემი შვილი მაინც არ იქნება მახენჯი მეთქი. მაგრამ... მაგრამ არ გამიმართლდა იმედი... როგორც ვამბობდი და რაშიც დარწმუნებული ვიყავი... ყველაფერი სრულდება, ახლა ის და მკვლია ანამ მილალატოს... (ლევანი განსუკანს დასვას).. აი მაშინ ყველაფერი მზათ იქნება. (უცებ) შენ გინახავს ჩემი ასული?

**ლევანი.** მინახავს!

**იოსები.** მერე?

**ლევანი.** მერე რა?

**იოსები.** ხომ ჯოჯოხეთის მაშხალაა?

**ლევანი.** (უაყმათ) მაინც და მაინც არც ისეთია...

**იოსები.** შენთვის რასაკვირველია სულ ერთია, ჩემო ლევან და ჩემთვის კი... ეებს! (ხმას შეიცვალას და დინჯათ განაგრძობს) იცი რა ვითხრა ლევან!? არასოდეს რწმენა არ შეიმუშავო.

**ლევან.** (გაკვირვებულად) რას მეუბნები, იოსები?

**იოსები** რწმენაზე უარესი, მასზე უარესი არაფერია ქვეყანაზედ... ადამიანს რწმენა გაავიეებს, ჭკუიდან შეშლის, სიცოცხლეს მოუწამლავს, ყველაფერს ჩაადენინებს: ავაზაკობაზედაც უარს არ იტყვის, რომ რწმენას არ უღალატოს, ოღონდ მიზანს ეწიოს. არავითარი რწმენა არ გქონდეს, თუ კი გინდა ბედნიერი ადანიანი იყო. ცხოვრება ჩემო ლევან, ცვალებადია, ცხოვრება ქრელი გველია. ცხოვრება ქამელონია, ერთის სიტყვით, იგი ყველაფერია და ბედნიერიც ცხოვრებაში ისაა, ვინც ყოველგვარ პირობებში ბატონია... ხანდახან ისეთი აზრი მომივა, ისე შევიშლები ხოლმე, რომ მზათა ვარ ყველაფერზე ხელი ავიღო და გავვარდე მინდორ ველოთ და ავაზაკავით ვიცხოვრო.

**ლევანი.** ასეთ კითხვებზე თუ კი ხშირათ იფიქრე, რასაკვირველია ძნელია ცხოვრება მაგრამ...

**იოსები.** (აწვეულებს) განა შეიძლება არ იფიქრო? ერთხელ დამარცხდები, ორჯერ მოსტყუვდები, სამჯერ შესცდები და თანდათან სასოწარკვეთილება მოგიცავს, ანდა ერთი ეს გამაგებინე: რას ვფუსფუსობთ? რას დავლოდავთ უბრალო ჭიასავით? ვიბრძვით ღლები, თვეობით, წლობით, საუკუნოებით; ვწერთ, ვკითხულობთ ვფიქრობთ, ვიტანჯებით და ბოლოს კი ან მზე, ან მიწას გული გაცივდება, ან სხვა რამე მსოფლიო კატასტროფა მოხდება და მშვიდობით კაცობრიობა: მენი შრომა, ტანჯვა, მწუხარება, სიხარული გაქრება, გაქრება და არავის არ მოუვა აზრათ, რომ იოსები, ლევანი, პეტრე ან პავლე სცხოვრობდნენ და ასე იქცეოდნენ, ამას ამბობდნენ... ვგრძნობ ამას, მჯერა და მაინც ვერ მომიხვეწია!? დაიკარ დანა, ან ჩამოჰკარ ჩახმახს ხელი და გათავდა: თავისუფალი ხარ, ვით ქარი.

**ლევანი.** როგორც გეტყობა იოსებ, შენ ამას მწუხარება და რაღაც დიდი დარდი გალპარაკებს, თორემ შენ იტყობდი უარს რწმენაზე? უარყოფდი იმას, რაც გითქვამს, დაგიწე რია, ან რასაც ამბობ?

**იოსები.** ეგაა და! არა თუ არ უარყოფ, ძალიანაც რომ მოეინდომო, მაინც ვერ შევსძლებ: ამაში მდგომარეობს ადამიანის ზოგიერთი თვისების საოცრება. (უცნაურად წამოადგება) უკაცრავათ, ძლიერ გავერთე მე ახლა თავი უნდა დაგანებო; მოითმინე კიდევ ცოტა ხანს: ანას დაუძახებ; სამსონი და ნინოც მალე მოვლენ. ისინი ჩვეულებისამებრ ბაღში იქნებიან. ბედნიერი ხალხია. უყვართ ერთმანეთი და სერიზოზობენ: არა ფერი არ აწუხებთ (დააზიარებს წასვლას და ისევ მატყრავს). ჰო! დაღეს ხომ შენი დაბადების დღეა? სრულიად უცაბედათ გამახსენდა: მოგილოცავ, ჩემო ლევან. მე დარწმუნებული ვარ, შენ იმიტომ მოსულხარ ასე ადრე, რომ ღღეს შენთან გვეპატიყები მიხვდით?

**ლევანი.** მართალია, და იმედი მაქვს კიდევ ერთათ გავატარებთ ამ ღღეს. **იოსები.** რასაკვირველია: მით უმეტეს რომ ღღევანდელი ღღე საისტორიო შეიქნება. მაშ ნუ მოიწყენ ცოტახანს (ანას რამეღიც ამ დრას შემადის და ღღევანს მიესაღმება). სად დაიკარგეთ ამდენ ხანს? ოთახში შემოიხედავდით მაინც! ავერმოფლო ნახევარი საათია თურმე ლევანი აქ მარტო ზის.

**ლევანი.** იოსებ, განა ღღეს სალაპარაკო? **იოსები.** ჩვენი ასულის მშვენიერი სახის ყურება, მაინც და მაინც ბევრს არ მოგიხდება (ჩაიციანებს) აბა გაერთეთ.: მე ახლავე შემოგიერთდებით. (გადის თავის კაბინეთში თავის ქადაღდებაანათ).

**ანა.** იოსები ღღეს სულ სხვანაირ გუნებაზეა.

**ლევანი.** მეც შევამჩნიე... ასეთი ხან მხიარულობა, ხან ორაზროვანი სიტყვებით ლაპარაკი, კეთილს არ უნდა მოასწავებდეს. არ მახსოვს ჯერ, იოსები როდისმე ასეთ გუნებაზე ყოფილიყოს.

**ანა.** შეიძლება იმიტომ გამოიცვალა, რომ ღღეს მაგის თხზულება გამოდის. როდესაც ჩამოავდებდა ხოლმე თავის წიგნზე საუბარს, მაშინვე სხვანაირ სახეს მიიღებდა.

**ლევანი.** შეიძლება იმიტომ არის: ჰო, მართლა სტამბიდან მოვდივარო სთქვამს რომ არ იყოს, ისე ძლიერ ბევრს მეცადინეობს. ჯერ იოსები უწიგნოთ არ მინახავს. (გარეთ სამსონის და ნინოს საცაღი გასმის).


**ანა.** სამსონი და ნინო მოდიან. (მხარყვლა სახით და დიდებით შემოდიან ნინო და სამსონი).

**ნინო.** (სამსონს) ლევანიც აქ ყოფილა (მესაღმება ღღევანს).

**სამსონი.** (რევერანსით) სალამი ბატონს ღღევანს.

**ლევანი.** (იმეუ კაღთით და ზახით). მიიღეთ ჩემგანაც უმღაბლესი თაყვანი, ბატონო ღღევან!

**ნინო.** ეს რა საღღესასწაულო ტონია?



**სამსონი.** (აფერხით) ჩემთვის ყოველდღე დღესასწაულია ჩემო კარგო.

**ლევანი.** სრულს ქეშმარიტებას ბრძანებთ, ბატონო სამსონ, თქვენმა მზემ!

**სამსონი.** თქვენცა, ბატონო ლევან, თქვენმა სიცოცხლემ! (სამსონი მხიარულად მიუახლოვდება ლევანს, ნინო და ანა კი განკრძალებიან) სხვა ახალი რა იცი, ლევან? (ლევანი მხიარულ სახით რაღაცას ეუბნება სამსონს და ორივეს ეცინება.)

**ნინო.** რათ მოგიწყენია ანა?

**ანა.** როდის ვიყავი მხიარული ჩემო კარგო, რომ დღეს არ მოვიწყინო? (უნდასადაზარაკო მასადა გამოსრგვალს) დღეს გრილა მგონია, არა?

**ნინო.** კოტათი შესდრი, რომ შენც არ გამოისსერინე.

**ანა.** ერთი, რომ უქეიფოთ ვიყავი და მეორე არც მიყვარს დილით სერინობა.

**სამსონი.** (აუტყდება სიცილი) მოვესწრებით ჩემო ლევან; ჯერ არც ისე გვიანაა. ესეც რომ არ იყოს ვანა უშვილობა არ სჯობია? უფრო თავისუფალი ხარ მაშინ. შვილი ბურჯუაზიული მოვლენაა (ეცინება) ნინო! (ლევანს) ვთქვა?

**ლევანი.** მე ხომ იმიტომ არ მითქვამს?

**ნინო.** რაო? რა იყო?

**სამსონი,** რაო და, იცი რა მისაყვედურა?

**ნინო.** ჰო!

**სამსონი.** შვილი რათ არ გყავთო, თითქოს ეს ჩვენს სურვილზე იყოს დიმოკიდებული.

**ნინო.** დაიწყეთ ისევ თქვენებურათ?

**ლევანი.** (დამიჯლით ნინოს) მამატრეთ ქალბატონო! (სამსონს) მე საიდუმლოთ გითხარი და შენ ხვამიადი გამიმელავნე?

**სამსონი.** „ხამს თავისსა ხვამიადსა, არვისთანა ამელავნებდესო“ ხომ ვაგიგონია? (შემოდაის იფანე სადათში)

**ივანე.** ოჰო! აქ მთელი კრება ყოფილა. (ლევანს) ბოდიშს ვიხდი ასეთი სახით, რომ გზვდები.

**ლევანი.** აბა როგორ გეკადრებათ, ბი ივანე, ჩემთან ბოდიშის მოხდა?

**ივანე.** (ჭკება) ასე აღრე მაინც რამ მოგიყვანა?

**ლევანი.** ვერ გავძელი უთქვენოთ, ბატონო ივანე! შეეგზივით ძლიერ და ახლა არ ძალმიძს ისევ გადავეჩვიო.

**ივანე.** ეს ქალები, რომ გათხოვილნი არ იყვნენ, მაშინ მეცოდინებოდა მიზეზ. თქვენი ასე აღრე აქ მოსვლისა და ახლა უნდა დავიჯერო თქვენი სიტყვები. (ხუმრობის კიჟოთი)

**ლევანი.** შეურაცყოფას მაცენებთ, ბატონო ივანე!

**ივანე.** ხა! ხა! ხა! ხა! ნუ კი გეწყინებათ მოხუცებულმა ადამიანმა რომ რამე გეხუმროს?! დაბრძანდით!

**ლევანი** გამლობთ, მაგრამ დასაჯდომათ არ მოვსულვარ; მცირე სათხოვარი მაქვს თქვენთან.

**ივანე.** რა ამბავი? ბრძანეთ.

**ლევანი.** დღეს ჩემი დაბადების დღეა და

**ივანე.** { მართლა?

**ნინო** {

**სამსონი.** (უტკბე) ღმერთი გამიწყრა თორემ ეს რითი უნდა აფხსნა? დღეს შენი დაბადების დღეა და მე კი სრულიად არ გამახსენდა!! ეხ, რას ნიშნავს თურმე ერთი წლითაც ერმანეთის დაშორება.

**ლევანი.** დიახ! ხანდახან ბევრ რამეს ნიშნავს!

**სამსონი.** გახსოვს ლევან, ერთხელ რა ჩინებულათ ჩავატარეთ ეს დღე პეტერბურგში (ამ დროს თავის კაბინეტის კარებში გამოჩნდება და იქვე შედგება უხმოთ.)

**ლევანი** აბა როგორ დამავიწყდება? იმ დღეს იოსებიც კი დაგვეთვრა.

**ნინო.** (ვატკბუელი) იოსებიც!

**ლევან** დიახ! რამ გაგაკვირვათ?

**ნინო,** ამას სწორედ არ მოველოდი.

**იოსები.** რა გაეწყობა ქალბატონო! ხშირათ მოხდება ხოლმე რამე მოულოდნელი და დაუჯერებელი.

**ლევანი.** დღესაც მინდა სწორეთ ისეთივე „ჩინებული“ იქნეს ჩემი დაბადების დღე



და ამიტომ გთხოვთ ყველას, მობრძანდეთ ჩემთან სადილოთ.

**ოსები.** (სადღუნდოები და სხვა) ლევან! რწმუნე, რომ შენი დაბადების დღე, ახლა უფრო ჩინებული იქნება, ვინემ როდისმე ყოფილა.

**ლევანი.** დარწმუნებული ვარ ამაში: იმედი მაქვს არც ერთი არ დაიზარებთ ჩვენთან გადმოსვლას. შეიძლება მეორე ასეთი დღე ერთად ვერ გავატაროთ.

**იოსები.** ყველაფერი შეიძლება მოხდეს!

**ნინო.** სიკვდილს ხომ არ აპირებთ? (ფეხს)

**ლევანი.** სიკვდილზე ლაჩრები ფიქრობენ და ისინი, ვინც ცხოვრებისაგან ძლეულან ან სიცოცხლე მობეზრებიათ. მე კი ჯერ ცხოვრება არც კი დამიწყია, ქალბატონო.

**სამსონი.** მომწონს ეგ სიტყვა, საუცხოვოთ თქმულია.

**ივანე.** მადლობას მოგახსენებ ყველას მაგიერ, მაგრამ უხერხულ მდგომარეობაში კი ჩავერდით!!

**ლევანი.** (უყვს ფეხს) როგორ ბატონო ივანე? გიშლით რამეს?

**ივანე.** არა! საქმე ამაში როდია: რაღა თითონ თქვენ შეიწყნებთ თავი? განა ჩვენ არ შეგისრულებდით.

**ლევანი.** (გაწვევით) პო-ო-ო! (უცებ) უკაცრავათ, რომ სიტყვა გაგაწვეტინეთ.

**ივანე.** არაფერია!

**ლევანი.** მე სხვა რამე მეგონა! რაც შეეხება ჩემს მოსვლას, უნდა მოგახსენოთ, რომ მე თითონ მინდოდა თქვენი ნახვა. ესეც რომ არ იყოს თქვენს შეილებს დიდი ხანია ვიცნობ და ჩვენში მარტივი ურთიერთობა არსებობს. დღეს მე სტუდენტი მინდა ვიყო და სტუდენტურათ ვაპტარო ღრო.

**ივანე.** თქვენი აზრი საქებია.

**ლევანი.** ახლა კი ნახვამდის: გიციით— იმედი მაქვს ბევრს არ დაიგვიანებთ და ჩქარა თქვენის ფეხით ჩემი სახლის იატაკს და ჭერსაც აახმაურებთ.

**ივანე.** ჩვენ ბევრს არ გაცდევინებთ. მანამდი კი გადაეცით სალამი დედა თქვენს..

**ნინო.** მომიკითხე და ჩემს მაგიერ ჩვენი ზე აკოცე.

**ლევანი.** (თავს დაუკრავს მდაბლათ ყველას) დიდის სიამოვნებით... ნახვამდის. ბატონებო! (გადას).

**ივანე.** "მაშ ნუ დავიგვიანებთ: გამოეწყვეთ და წავიდეთ... მე ახლავე მზათ ვიქნები. (გადას)

**ნინო.** მე ასე წამოვალ.

**სამსონი.** მეც.

**ნინო.** ანა შენ სხვა რამე ჩაიცივი.

**ანა.** მაშ ამით ხომ არ წამოვალ? (გადას)

**ნინო.** (იასკეს. წამქადაც გაშეშეუდღივით ასევე კარებთან სდგას) თქვენი თხზულება დღეს გამოდის, არა?

**იოსები.** დიახ, დღეს.

**ნინო.** მერე რამ მოგაწყინათ? თქვენ უნდა გიხაროდეთ, რომ მთელი საზოგადოება თქვენს სახელს მოიხსენიებს და თქვენს აზრს მოისმენს.

**იოსები.** არის ისეთი მომენტი ადამიანის ცხოვრებაში, როდესაც რამე სასახარულო სასახელო მწუხარებას მპოვების ხოლმე რომელიმე პიროვნებას.

**სამსონი.** მგონია პირველი ნაწილი გამოვიდა არა?


**იოსები.** დიახ, მარტო პირველი: ამ ნაწილში კი მხოლოდ თეორიულა საკითხია განხილული.

**ნინო.** არ შეიძლება გავვაგებინოთ უმთავრესი იდეა? თქვენ არასოდეს სრულათ იგი არ ვიამზნათ.

**იოსები.** ჩემს თხზულებაში, როგორც სათაურიდანაც სჩანს, ორი საკითხია განხილული. მე მინდოდა გამოემრკვია პრობლემა სილამაზისა და სიმახინჯისა. უმთავრესი ტემისები კი მარტივია: საჭიროა ჩემის აზრით მახინჯები მოისპონ, საჭიროა სიმახინჯე არ წამოიშვას.

**ნინო.** განა ეს მოსახერხებელია? რანაირათ შეიძლება სიმახინჯის მოსპობა? ეს ხომ ბუნების კანონია!

**იოსები.** მოუხერხებელი ქვეყანაზე არაფერია: ეს ჩემი ღრმა რწმენაა. საჭიროა მხოლოდ მახინჯს აეკრძალოს ცოლის



შერთვა, რათა თავისივე მზგავსი არ წარმოშობოს. ჩემი მსგავსი ადამიანი ოჯახური ცხოვრებისთვის არ არის დაბადებული. ადამიანი ყოველმხრივ ბედნიერი უნდა იყოს: ეს არის ჩემი მოქმედების საძირკველი და ერთადერთ, უმთავრეს საშუალებათ ბედნიერებისათვის, სიყვარული მიმაჩნია. სიყვარული კი იქ არის, სადაც სილამაზეა.

**ნინო.** განა სულ ყოველთვის?

**იოსებო.** გამორიცხვა კანონს ვერ დაარღვევს და ზოგად მოვლენათ ვერ გადაიქცევა. თუმცა მე ასეთი გამორიცხვა არა მწამს: ე. ი. შეუძლებელია სიყვარული იყოს იქ, სადაც სიმახინჯეა. მაგალითათ ქალს ისეთი მამაკაცის შეყვარება შეუძლია, რომელიც მისთვის სასახელო, ან სასურველი იქნება. სულიერი ე. ი. შინაგანი სილამაზე, დამარხული სიმდიდრეა, თუ მას ფიზიკური სიმახინჯე ჰფარავს.

**სამსონი.** მაშ შენის აზრით ოჯახს მარტო არა მახინჯები უნდა მოეკიდონ?

**იოსებო.** რასაკვირველია: კაცობრიობის იდეალია სილამაზეში განხორციელდეს, სილამაზით შეიქმნეს. ადამიანთა შორისაც არსებობს ბუნებრივი შერჩევის კანონის მსგავსი რამ: უკეთესი წყვილი კიდევ უკეთესს მოდგმას წარმოშობს. სულელის შვილი მაგალითად, გენიოსი არას დროს არ ყოფილა და არც იქნება.

**ნინო.** ყველაფერი კარგი, მაგრამ განა არ შეიძლება გრძნობას საზღვარი დაედვას? გრძნობა ხომ ხშირათ ისეთივე ფართეა და ღრმა როგორც ფანტაზია? განა შეიძლება სიყვარულის გრძნობა კანონებს დაემორჩილოს, სურვილით განისაზღვროს? (სამსონი ხან იღებს მანქანის დაზარალებულს და ხან გაიფრთხილებს სტენოზს. ეტყობა, რამ მანქანა და მანქანა ახტკრესებს ისეების და ნინოს დაზარალებულს.)

**იოსებო.** (თან და თან უფრო და უფრო შედის რაღაში). შემცდარი ბრძანდებით, თუ კი კანონის დამორჩილება ამ შემთხვევაში სიყვარულის შემორკვათ მიგაჩნიათ. სიყვარულს აქვს თავისი კანონები, რომელსაც

უცვლელათ ემორჩილება: სიყვარული სქესობრივი, ორ მონათესავე ბაში ისახება. სილამაზეს უყვარდება სილამაზე. მაგრამ აქ თუ ერთი რამ არ დაუმატე, ჩემი აზრი სრული არ იქნება: სილამაზის შეყვარება მახინჯსაც შეუძლია მაგრამ ყველაფერი აქ თავდება. მახინჯს შეუძლია შეიყვაროს, მაგრამ თანაგრძნობას ვერასოდეს ვერ ელირდება.

**სამსონი.** (მარცხენა კართან ღვას) მაშ რა უნდა ქნას მახინჯმა ასეთ შემთხვევაში?

**იოსებო.** უნდა გაექცეს ასეთ სიყვარულს.

**სამსონი.** (მოუხსლავდება იოსებს და წინაშის ხშიათ) შენ რას უცდი?

**იოსებო.** უკანასკნელ საათის მოახლოვებას. (უყურებს ზიარდაზარ თავსებში. სამსონი მამოხრდება).

**ნინო.** განა მახინჯი შვილი მარტო მახინჯებს ეყოლებათ?

**იოსებო.** (დამშვიდებათ) არა! მაგალითათ მე და სამსონი... ამ შემთხვევაში კიდევ სხვა მიზეზია დამნაშავე. ხანდახან ზნეობრივი სიმახინჯე ისეთსავე გავლენას ახდენს, როგორსაც ფიზიკური.

**ნინო.** იოსებო! მაშ შენ დარწმუნებულნი ხარ...

**იოსებო.** რომ ჩემს მახინჯათ დაბადებაში დამნაშავეან მამაჩემის, ან დედაჩემის ზნეობრივი სიმახინჯეა...

**სამსონი.** (თავისთვის) საუბედუროთ მართალი ხარ. (ზაჟსა)


**ნინო.** განა მახინჯს არც ერთ დარგში არ შეუძლია ბედნიერება მოიპოვოს? ნუ თუ ბედნიერებას ადამიანი მარტო სიყვარულში ჰპოებს? მახინჯს ხომ შეუძლია საზოგადოებას ემსახუროს, სარგებლობა მოუტანოს?

**იოსებო.** ვისიმე სამსახური თანაგრძნობას მოითხოვს...

**ნინო.** თანამგრძნობი ეყოლება კიდევ.

**იოსებო.** მაგრამ მახინჯისათვის მარტო თანაგრძნობა არ კმარა. მახინჯს არ შეუძლია მთელი თავისი ძალა, ენერჯია, საზოგადოებას მოახმაროს, რადგან იგი საკუთარ, ძლიერ მძიმე, უსაზღვრო დრამა-





ტიზმს განიცდის. ყოველი ცალ-ცალკე ადამიანის პსიხიკა თანდათან რთულდება, სუსტდება და ძლიერ მგრძობობიარე ხდება პიროვნება. ბედნიერების წრე კი თანდათან ვიწროვდება. ამის მიხედვით გავლენას ყველაზე უფრო ნათლად, ყველაზე უფრო ძლიერადად მახინჯი გრძობს. რადგან მას აკლია ისეთი იარაღი, რომელიც სხვებისათვის ადვილი მისაწვდომია: მახინჯს აკლია სიყვარული. (ამ დროს მთავრის წახმის ხმა. ოსკუბა შეკრება)

**ხამსონი.** ვინ უნდა იყოს?

**იოსები.** დათიკო იქნება. (შემაღლის დათიკო და ხელში წიგნი უჭირავს)

**ხამსონი.** დათიკო შენა?

**დათიკო** ძალიან მიხვდა მართალი გითხრა სალამო მშვიდობის, ბატონებო!

**ნინო.** ჯერ კიდევ დილაა!

**დათიკო.** ამიტომაც სალამო მოვილოცეთ. დილით რომ მშვიდობით ხართ, თქვენცა გრძობთ და მეც ვხედავ. საქმე იმაშია სალამო როგორი იქნება, მით უმეტეს, როგორც ლევანმა მითხრა დღეს ვქეფობთ.

**ნინო.** კარგი, კარგი... მოუხსნა პირი...

**დათიკო.** შემიძლია ისევ შეუკრა თუ მიბრძანებთ.

**ნინო** (მეუბნება წიგნზე) ეს რა წიგნია?

**დათიკო.** იოსების თხზულება გახლავთ.

**ხამსონი.** მართლა?

**დათიკო.** ღმერთს გეფიცები!!

**იოსები.** (გამაზრათიკის დათიკის წიგნს) აი ეს გახლავთ „სილამაზე და სიმახინჯე“.

**დათიკო.** რომელიც უკვე შევიდასი ცალი გაიყიდა.

**ნინო.** ოჰო! შეიძლება ვნახო! (ოსკუბა გადასცემს წიგნს) რას იზამთ, რომ საზოგადოებამ არ მოიწონოს თქვენი აზრი?

**იოსები.** რა უყოთ: მწამს რომ მორალისტები და ქველმოქმედნი ასტეხენ განგაშს, მაგრამ მე მათი არ მეშინია.

**ხამსონი.** მართო ამით გინდა ებრძოლო? (უჩვენებს წიგნზე)

**იოსები.** ყველაფრით ჩემო სიმსონ! საშუალება ბრძოლისთვის ბევრი მაქვს. (დათიკო

ნინოს მიუხედავად და უჩვენებს წიგნს სახელწოდებით) რუსი ადგილებს)

**ნინო.** რომ დამარცხდეს?

**იოსები.** პირველი ძლიერა უკანასკნელი არ არის და ჩემს სამუდამოთ დამარცხებას კი ვერავინ დაინახავს.

**ნინო.** (კითხულობს ერთ ადგილს ოსკუბის წიგნში) თქვენ სწერთ: „მახინჯი იგივე პარაზიტია, მეტაბოლიზმის საზოგადოებისათვის და ხშირად აუცილებელი კანდიდატი საბრძოლველად ასაყვან ავანტიურას. მისი პიროვნება უპიროვნოა და უმნიშვნელო: იყო ასეთი და იქნება მომავალშიაც. საზოგადოებაში უსარგებლო წევრთა არსებობა კი მეტი ხარჯია; ამისთვისაც უნდა მოისპოს“. ეს ერთი მუხლია თქვენი დასკვნისა. მე არ შემიძლია დაგეთანხმო ამაში რადგან...

**იოსები.** მე შემიძლია დავათავო თქვენი აზრი: რადგან შიშობთ მახინჯში გენიოსი არ დაიღუპოს არა?

**ნინო.** დიახ, არ შეიძლება მახინჯი ქუჩიანი. გენიოსი გამოდგეს?


**იოსები.** შეიძლება, მაგრამ კიდევ გავიწყდებათ ერთი გარემოება: როდესაც მახინჯები არ იქნებიან, მაშინ გენიოსები ლამაზებში დაისახებიან და იქიდანვე წარმოიშობიან. განა საქირთა უსათუოთ მახინჯი იმიტომ შეინახოთ, რომ იქნება გენიოსი გამოდგეს?

**ნინო.** რომ გამოერიოს? მაშინ ხომ საზოგადოების, კაცობრიობის ლალატი გამოდის, მისი მოსპობა?

**იოსები.** აკი მოგახსენეთ, რომ როცა მახინჯები არ იქნებიან, გენიოსნიც ლამაზებში დაიბადებიან. ამას გარდა ერთ დიდ შეცდომას ჩადიხართ: თქვენ სულ საზოგადოების სარგებლობაზე და სასარგებლოთ ლაპარაკობთ და თითონ მახინჯის პიროვნება კი გავიწყდებათ.

**ნინო.** არა, არ მაგიწყდება?!

**იოსები.** როგორ თუ არ გავიწყდებათ? რას უშვრებით მის სულიერ მდგომარეობას? რითი გინდათ მოაშოროთ ტანჯვა, წვალემა. დაცინვა?



**ნინო.** სახელის მოხვეჭა, დიდების ქების დამსახურება, სათაყვანოთ განდება, განა უს მცირე რამ არის?

**იოსებნი.** რათ მინდა სახელის მოხვეჭა, თუ კი იგი სიყვარულს მომანიჭებს? რათ მინდა ქება, დიდება, თუ კი იგი სიყვარულს ვერ მომცემს? რათ მინდა ვინმეს თაყვანი, თუ კი ისევ მარტო, მოძულებული, ზიზღის მომგვრელი დავრჩები? თქვენ გავიწყდებათ, რომ მახინჯი უფრო მეტსა გრძნობს, ვიდრე რომელიმე თქვენგანი, რადგან უბედურება, ტანჯვა გრძნობას ავადმყოფობაძღვე ავითარებს მახინჯს სარ, კეში ჩახედვითაც კი ეშინია, სურათის გადაღებასაც კი ერიდება; საკუთარ ჩრდილსაც კი გაურბის, რადგან ეს მაშინვე თავის სიმახინჯს გაახსენებს. ღვიძავს მახინჯია-მახინჯია! სძინავს-მახინჯია; სიზმარში-მახინჯია; ოცნებაში მახინჯია; ყოველგან, ყოველთვის ერთი და იგივე, უნუგემო, საზარელი სურათი, მაშ რათ გინდათ დაიტანჯოს ისედაც წამებულები არსება? (წაიფლებს თმში ხელებს) ააახ! თქვენ მახინჯი უნდა იყოთ, რომ ჩემი მდგომარეობა შეიტყუოთ.

**ანა.** (შემოდის გადაცმული) აი მეც მზათა ვარ.

**სამსონი** (ჩუმად) მადლობა ღმერთს. (ხმა მალავს) ივანე სად დაიკარგა?

**დათიკო** (მოუხსნაფუძვან იასკებს) თავი შეიკავე იოსებ! სისუსტე ეგ იგივე დამარცხებაა... (იასკები და დათა სხდებან სვანძულში მამოკრები)

**ანა** წავიდეთ? ივანე დაგვეწვევა. (შემოდის ოჯახი)

**ივანე.** (მზათა ხართ ყველანი?)

**ნინო** )შენ გიცდითით!

**სამსონი**

**ივანე** მაშ გავსწიოთ. (მიდიან იასკები და დათიკო არ დგებიან)

**სამსონი.** თქვენ არ მოდიხართ? (დათა მოუხსნაფუძვან წამოვალთ)

**დათიკო.** ახალავე დაგვეწვიოთ.

**ანა.** წავიდეთ (გადაიან.)

**სამსონი.** იოსებ! თუ გინდა მოვიცდით?

**იოსებნი.** არა, არა... ჩვენ ახლავე დაგვეწვიოთ... (გადაიან. დათიკო კარებს და მობრუნდება.) ან ახლა... ან არასოდეს...

**დათიკო.** რა სთქვი იოსებ?

**იოსებნი.** (წამოდგება მარდათ... ადგაფუძვან) ყური დამივდე დათა... უნდა გავანდო საიდუმლო... იქნება კიდევ გრძნობ რამიცი არის საქმე: პირველათ ხომ შენ ირწმუნე ჩემი აზრი, პირველათ შენ მითხარი, რომ მართალი ხარო. ერთი იდეისადმი რწმენა კი, ორ მოპირდაპირე პიროვნებასაც აკავშირებს, ამეგობრებს.

**დათიკო.** მერწმუნე იოსებ, რომ როგორც საკუთარი ძმა ისე მოყვარებად და პატივს გცემ.

**იოსებნი.** სცდები ჩემო კარგო: კი არ გიყვარვარ, გებრალეები და ეს ორი გრძნობა ერთანეთისაგან ვერ გაგიჩივია... სობრალული არ არის სიყვარული, თუმცა სიყვარულის დასაწყისი კია. მაგრამ აქ თავდება შენი გრძნობაც. (დათიკოს უხდა რადცა უხსუსხს) ხმა! კონტრი.. ეს ასეა! ჩემი შეყვარება არავის არ შეუძლია: მამაჩემსაც კი არ უყვარვარ, მაგრამ შიშით კი ეშინიან... სხვასაც ბევრს ეშინიან; რატომ არ ვიცი სწორედ... მაგრამ საქმე ამაში როდია: ყური დამივდე!

**დათიკო.** მე მზათა ვარ.


**იოსებნი.** ჩემი წიგნის შინაარსი შენ იცი... ახლა საქირთა იმისი განხორციელება რაც დამიწერია და მაშინ ჩემი საქმე, გათავებილი იქნება. უნდა გადავსდგა პირველი ნაბიჯი: არც ერთ მოძღვრებას არ შეუძლია მოქალაქობრივი უფლება მოიპოვოს, თუ კი იგი რეალურ ფაქტებზე არ არის დამყარებულია.

**დათიკო,** ეს არგა! მერე?

**იოსებნი.** მერე და მე მინდა ჩემს მოძღვრებასაც ასეთი ნიადაგი მოუპოვო და ზედ მჭიდროთ მოვათავსო. (დაბადას სმით და გარკვევით) ყველაფერი ეს კი ღღეს უნდა აღსრულდეს.

**დათიკო.** ღღეს? არ ხუმრობ?

**იოსებნი.** ხუმრობა კაცს სახეზე შეეცყო-



ბა: საშიშო, სავალალო და სავიანო აქ არაფერია. ქვეყანაზე ყველაფერი მსხვერპლს ითხოვს და რაც უფრო დიდ მნიშვნელოვანია მსხვერპლი, მით უფრო დიდია შედეგიც.

**დათა.** ყოველივე გაითვალისწინე? მე მგონია ჯერ არა გაქვს მაგის უფლება!

**იოსებები.** უფლებას ჩემთვის მე თითონ ვქმნი.

**დათა.** იოსებ! მე არ შემძლია ნება მოგცე... ასეთი არა ჩვეულებრივი ნაბიჯი გადასდგა!

**იოსებები.** ხა! ხა! ხა! ხა! უნდა გადაესდგა ჩემო კარგო, და ეს არაჩვეულებრივი ნაბიჯი უნდა გახდეს ჩვეულებრივით. (მსხვილდება დათას და ჩაფიქრდება. დათა უსიტყვოდ მისჩერება)

**დათა.** იოსებ?

**იოსებები.** (უცებ შეკრებას) ა? ჰო! აბა ჩემო დათიკო... მე ახლავე შეუდგები საქმეს... შენ ნუ გეშინიან... მე ახლავე ჩავიცვამ საუკეთესო ტანსაცმელს... ასეთი დიდმნიშვნელოვანი საქამე, ყოველნაირათ უნდა შევამკო... მომიცადე აქ... მე ახლავე გამოვეწყობი. (გადის შუაზე ოთახში)

**დათიკო.** მე? მერა უნდა ვქნა? (ჩაფიქრება) უნდა გავჩუმდე... (შაყვს)

**იოსებები.** (ოთახიდან) დათიკო!

**დათიკო.** რა გინდა?

**იოსებები.** (იქიდანვე) არ მოიწყინო... მე ახლავე... თუკი გაქვს რამე საფიქრებელი, იფიქრე, გაერთობი... ან როიალზე დაუკარი... თუ შენ დაკვრა არ იცი, შემცდარხარ, უნდა გესწავლა... მუსიკა... სიყვარულის მზღელია... დიახ! შემცდარხარ... ასე. ახლავე.. ამ წუთს ყოველივე მზათ იქნება... აი მზათა ვარ კიდევ. (გამადის სკრათუჰში გამაწყობადა) ხომ დიდებული მახინჯი ვარ ამა სოფლისა? (ეძებს ჯაბუში ხელსახოცს) მხოლოდ ხელსახოცი არ მქონია... იქ თუ არის (შევა იმ ოთახში, სიდახანც გამოვიდა და ცოტახანს შემდეგ ასეუდ ბრუნდება) არც იქ არის (კადევ ეძებს ჯაბუში სად ჯანდაბაში დამეკარგა? (შედას ანას ოთახში) ანას ოთახში თუ არის (აიღებს მ-

გიდიდან) ესეც ასე... მზათა ვარ! (უცებ დახვავს ხელსახოცს და შეშინებული იქნება) ეს ჩემი არ არის? ამას აქ რა უნდა? დათა?

**დათა.** რასა?

**იოსებები.** (გაფიქრებული) აი ამას დახედე დახედე... აქ... აქ... ეს რა ასოა? „ლასი,“ არა? არ ვცდები?

**დათიკო.** (დახვავს) დიახ „ლასია!“

**იოსებები** კარგათ დააკვირდი იქნებ „ინია“ ან „ნარიი“?

**დათიკო** (ვერ მიმხვდათ ვერაფერს) დაიძვრე „ლასია“!

**იოსებები.** მერე.. და ამას აქ რა უნდა? (ფიქრებს) საიდან დარჩა თუ გაჩნდა!.. მაგრამ იქ.. იქ რა უნდოდა ეს რალცა არ მომწონს!! აახ! ევეო, საზიზღარო, ქვემრომო გრძნობავ!

**დათიკო.** (არ იცის რაშია საქმე) რა გემართება კაცო?

**იოსებები.** (განაკრძებს უფრო გაბრაზებულია) გაშალე რალა შენი ძლიერი ფრთები და ჩემსკენ გამოსწიე? კარგი! მაშ ბოლომდი უნდა გზდიოს. ვინ იცის: იქნება იქ, უჯრაში სხვა რამეებიც ვნახო, უფრო საყურადღებო (შეჯრდება ანას ოთახში და უნდა მაგადის უჯრა გამოსწიას)

**დათიკო.** იოსებ! რას სჩადიხარ!

**იოსებები.** (უფრო არ უგდებას) უნდა ვნახო უსათუოდ (გამაიღებს უჯრას და შემაჯკეს სტენაზე) ამაში ჩემი ცოლი წერილებს ინახავს... აბა დათიკო! რას გაჩერებულხარ სვეტივით? მომეხმარე, გადავარჩიოთ. (ამაიღებს უჯრიდან ეგვიპტურს და შიგ იტყვირება)

**დათიკო.** იოსებ! ეს როგორ შეიძლება! რას შვრები?

**იოსებები.** (მოუთმუნდათ და გაბრაზებულია) ჩქარა, ბევრს ნუ ლაპარაკობ... (ასწვეს ერთ ბანაას. დათიკო წაიწვეს წინ) მაცალე.. ვნახო ვისია! ეს ჩემი ხელი არაა... არც ნინასია... არც სამონის... საინტერესოა! ჩემს ცოლს უცნობთაგანაც მოსდის წერილები... ვნახო ვინა სწერს. (გადაბრუნებს წერილს და ხაზგასმით კითხულობს) ლე-ე-ე-ე-ე-ე! ა-ა-ა! აი საქმე რაში ყოფილა...



უნდა წავიკითხო მაინც! (დათიკო არ აძლევს) მამცილდი დათა! ეს ხომ ლევანის, ჩემი მეგობრის წერილია? ხა! ხა! ხა! ხა!

**დათიკო.** იოსებ! ეს უზღველობაა! როგორ შეიძლება სხვისი წერილების კითხვა, პატრონის ნებადაურთველათ?

**იოსები.** (გაბრაზებული) თავი დამანებე მეტქი, რა დროს ზდილობაა? (კათხუფაძეს) „ჩემო სულის დგმავ“ (თათქმის უგარადათ) დათიკო! დათიკო! გესმის? დახე, დახე აქ ჩქარა ხომ „სულის დგმავ“ სწერია?

**დათიკო.** (დახედავს) დიახ! (იოსებმა განაგრძობს)

**იოსები.** (ამაჟკე კიდეითა) დახე კიდევ, ჩქარა: აქ „მიყვარხარ“ სწერია არა?

**დათიკო.** (კათხუფაძეს) დიახ! (იოსებს ცხინცხი აუჯვარდებს, მაგრამ მაინც განაგრძობს კითხვას)

**იოსები.** (კიდევ მაუხსნადობს დათიკოს) აქ კი „კოცნა“ არა?


**დათიკო.** (კათხუფაძეს) დიახ.

**იოსები.** (სისაწყინკვეთილი) „დიახ, დიახ, დიახ!! სთქვი ერთხელ მაინც „არა.“ ახ! საზიზღარო! ვნახოთ კიდევ რა სწერია! უნამუსო! (კათხუფაძეს ხმა მადლა) მე ასე ცხოვრება, ისიც შენს მოშორებით, არ შემიძლია და უნდა გადმოვსახლდე თქვენსკენ. მე მინდა სულ მუდამ შენთან ვიყო... შენ გიყურებდე... დიახ! დიახ!.. აბა როგორ შეიძლება არ უყურო!. ახ! შე მხეცო... ამხანაგს ცოლს მართმევე? დათიკო! ხომ გესმის? ცოლმაც მილალატა! ხა! ხა! ხა! და მე მხოლოდ დღეს გავიგე (უცებ თათქმის გადაწყვეტაღება მიიღო) მაშ კარგი პატრონო ლევან! ჩვენ ერთმანეთი უნდა ვინახულოთ... მხოლოდ იარაღი... გაგვასწორებს... ხა! ხა! ხა! დათიკო ხომ გავიგონია ხალხური ანდაზა: „ლამაზი ცოლის პატრონსა, უნდა ყავდეს ძალი ფრთხილი“ ხალხი გენიოსია, გენიოსი... აბა ჩემო დათიკო! (აქედან ეს მამქმედებს ბოლომდე აჩქარებული ტემპით მიდის)

**დათიკო.** რა გინდა?

**იოსები.** ნუ, ნუ მეკითხები: მხოლოდ ჩემი თხოვნა შემისრულე... ერთათ ერთი

თხოვნა: შეიძლება ეს უკანასკნელიც იქნეს... გვედრები ჩემო დათიკო...  
**დათიკო.** მითხარი მაინც, რა გინდა? გამაგებინე რა უნდა ვქნა?  
**იოსები.** (ჩქარა) გასწი ახლავე ლევანთან: შენ იქნები ჩემი სეკუნდანტი...  
**დათიკო.** რას ამბობ იოსებ?  
**იოსები.** გაჩუმდი და ყური დამიგდე...  
**დათიკო.** გონს მოდი იოსებ! როგორ შეიძლება ასე გზა და კვალის აბნევა?  
**იოსები.** (დაფინებთ) სთხოვე მაგ უნამუსოს, რომ ახლავე, ამ წუთას მოვიდეს ნანგრევებთან, იქ ზღვის პირად... მე მას დუელში ვიწვევ... ასე ჩემო დათიკო! ჩქარა მე ხომ მომატყუეს? გამქურდეს? მაშ კარგი... ახ! მე ისევ მარტო ვარ მარტოთ მარტო... გასწია გასწი თუ მცემ ცოტადენ პატრეს. თუ კი ჩემი პატარა სიბრალული გაქვს...  
**დათიკო.** იოსებ! გირჩევ დაფიქრდე! აბა რას სჩადიხარ?  
**იოსები.** არა, არა დათიკო, ასეთ შემთხვევაში ფიქრი არ უნდა... მე არ მინდა ვიფიქრო... აბა ჩქარა, გასწი რას უდგებარ?  
**დათიკო.** იოსებ სხვა საქმეც გაქვს უფრო დიდი და უფრო მძიმე...  
**იოსები.** არ, მინდა, არ მინდა გავიგონო! გასწი, ოღონდ ჩქარა წადი!..  
**დათიკო.** (მუდარას ხმით) იოსებ! ჯერ კიდევ არაა გვიან-შეიძლება...  
**იოსები.** (მოუთმენდათ აწყვეტილებს) რა გინდა ჩემგან? რასა ითხოვ? შენც მილალატე?  
**დათიკო.** ლალატი აქ რა შუაშია იოსებ?!  
**იოსები.** მაშ რა გინდა? გეხარება წასვლა?  
**დათიკო.** მომისმინე იოსებ: შენ ხომ იცი მე მოუფიქრებელი ნაბიჯი არ მიყვარს და შენი საქციელიც მოუფიქრებლათ მიმაჩნია: უცებ აენთე და ამასობაში დაგვიწყდა სხვა რაღაცა... ან იქნება შენთვის სიტყვა სხვაა და საქმე სხვა? ერთს ამბობ და სრულიად წინააღმდეგ მოქმედობ?!



**იოსები.** (მოუთმენლათ... იოსებს უუბნა არც უკვდავ დაკვირვებით) ახლა... გასწი, გასწი... ჩქარა... მე ასე მინდა (უხვეწებს კარებისაკენ) ჩქარა, ჩქარა, ჩემო დათა..

**დათიკო.** (წვეწათ) მე მივდივარ იოსებ, მაგრამ ჯერ კიდევ დროა ყველაფერი გაასწორო (შიადის ხელის ნაბაჯათ).

**იოსები.** (უცებ ჩაქრება. დათიკო კარებთან შეჩერდება და იცდის) დათიკო! მოითმინე, მოითმინე, შენ რაღაცა სთქვი: „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაო... ერთს ამბობ და მეორეს მოქმედობო“!! (მთქმელი ჩავარდება სავარძელში.) ოხ? უბედურო აღამიანო! რა სამიში რამა ხარ? რწმენა... აი რწმენა ღუპავს აღამიანს (ძალა მიხვდება) შენ მართალი ხარ დათა! (მხურვალეთ) მე რომ მომკლას იმ საძაგელმა, მაშინ ჩემი მიზანი?... ვინ განახორციელებს მას?... ჩემი აზრები, ჩემი... ფიქრები... ახ? წვეულო გრძნობა! რათ ეურჩები ხოლმე გონებას?

**დათიკო.** დიახ! ჩემო იოსებ! არასოდეს არ აჩქარდე, თუ კი შეცდომა გასურს თავიდან აიცილო.

**იოსები.** ავჩქარდი.. მართალია ჩემო დათიკო! ანაც მართალია... ლევანიც უღანაშაულოა... შენც მართალი ხარ! მაგრამ მეც ხომ მართალი ვარ, დათიკო? (ჩუმად განკრძნობს) ანა მე ხომ ვერ შემიყვარებდა?... მართალია, მართალია... სრული ქეშმარიტება... დათიკო! მოიტა ხელი... ეს... მეორეჯერ მამხნეებ შენ და პირდაპირ სვლას მიაღვილებ (ხელს მიჭერს და თან თვალებში ჩაჩერდება) დათა! (ჩურჩულათ) დათა! მე... მე... მე შინა!

**დათიკო.** რისი იოსებ?

**დათიკო.** (თათქას შერცხვს) არაფრის... მე რე... წამომკლა უცაბედათ... თითონ არ ვიცი რას ვამბობ... რისიუნდა მეშინოდეს? (ჩაიჯანყებს სხვანაირათ).

**დათიკო.** დაწყნარდი იოსებ! ძალა მოიკრიფე: ახლა გეპირდება შენ გონების სასაღე და ხასიათის სიმტკიცე! გამოიჩინე შენი ძლიერება... უკან დახევას ჩვეული არა ხარ, იცოდე...

**იოსები.** (დარცხვენია) მე განა დაწყნარებული არა ვარ?

**დათიკო.** ჰო! სწორედ ასე უნდა!

**იოსებ.** სრულიად დავმშვიდდი.. აბა შემომხედე?! ხომ მტკიცეთ ვდგევარ ფეხზე? (ბარბაცობს) მე უდიდესი მიხინჯი ვარ, ხომ? რას იტყვი, ჩემო დათა? ხა!ხა!ხა!ხა! ხომ მართალი ვარ? ცოლმა მიღალატა... მე ხომ ვამბობდი? მახინჯმა ცლლი და ისიც ლამაზი ქალი არ უნდა შეირთოს... არა და არა... თორემ უღალატებს., უსათუოთ... (უცებ შეჩერდება თავის თავის ძაღს ატანს... უნდა დაწყნარდეს) ახლა მგონია დროა!... (შუბლზე ხელს გადაისხამს) უნდა შეუდგე საქმეს და თამამათ გავსწიო წინ... (შიადის კარისაკენ).

**დათიკო.** მაშ გადასწყვიტე?

**იოსები.** დიახ! გადაწყდა... მე მივდივარ იქ... უნდა გადავსდგა პირველი ნაბიჯი.

(გ ა რ დ ა).

### მოქმედება III.

სცენაზე კლდინი ადგილია. შუა დღეზემეტია. გადახდილი მზე. ოქროსფერად ღებავს კლდის მალალ მწვერვალებს, რომელზედაც დავაკება და მოხანს ხრამის ერთი, მაღალი ნაპირი. ქვევით მშვენიერი კორდია, სადაც ხელოვნურათ შეკრებილი ხეებში, მწყობრათა ჩარაზმული და პატარ-პატარა სასეირნო ბილიკებს ჩრდილავენ. აქაიკ დგას გრძელი, თეთრათ შეღებიითი სკამები ეს ლევანის ბაღის მივარდნილი ნაწილია. ამ ადგილას პატარა მთის წყარო ჩუხჩუხით ჩაუდის და შემდეგ ხევში იკარგება, მთები ზევიდან შუამდე მზის სხივებშია გახვეული, ქვევით კი მოლურჯო ფერი გადაკვრა ბუნებას თითქმის შეხამებით შეუთანხმებია ერთათმანეთან მხიარული, მზის სხივებით მოქრული ადგილები და მოწყენით გამომწყურე ნაწილი მთებისა.

ფარდის ახდის დროს სცენაზე არავინ არ არის და მხოლოდ შორს, ლევანის სახლიდან მოისმის მუსიკის ხმა, რომელიც ყრუთ გაისმის არემარეში.

**იოსები ხმა.** (კუდასება) აი მოვანწიეთ კიდევ „განწყმენდის სასახლის“ პირველ საფეხურზე.

**დათიკოს ხმა.** გზა ძლიერ გძლავთ მომეჩვენა... ხომ არ ავცდით?



**იოსების ხმა.** (კულისებში) არა! მე ვერ ავცდები; აქეთკენ გზა შესწავლილი კარგათა მაქვს.

**ლათიკოს ხმა.** (კულისებში) დავისვენოთ? **იოსების ხმა.** (კულისებში, ძღაერ ახლად) დაილაღე?

**ლათიკოს ხმა.** (კულისებში) დიახ!

**იოსების ხმა.** (კულისებში) კადევ ცოტა შოითმინე.

**ლათიკოს ხმა.** (კულისებში ცოტა სიჩუმის შემდეგ) სძინავს?

**იოსების ხმა.** (კულისებში) მკვდარივით ჰაუზა... ფეხის ხმა ძაღზე მასხლავდა).

**ლათიკოს ხმა.** (კულისებში). მაშ უსათოთ?

**იოსები.** (შეშინდის წინ იასკები და უკან დააჯგო მასღვეს მწუხარე, დადგრეპილი სხით. იასკებ სეღში უჭირავს თეთრებში გახვეული ბავში). დიახ; უსათუოთ... თუ კი ცოცხალი დარჩა. ჩემსავით, უფრო მეტათ დიტანჯება.

**ლათიკოს ხმა.** შეიძლება მართლია...

**იოსები.** ზნეობრივი კანონი მიბრძანებს დავისხნა ჩემი შვილი წვალებისაგან. ეს გადაწყვეტილი საქმეა...

**ლათიკოს ხმა!** დიახ! დიახ! გადაწყვეტილია.

**იოსები.** არ ვიცი მხოლოდ, როგორ იმოქმედებს ჩემი საქციელი ანაზე... (თავისთვის) შეიძლება დედას ერთნაირათ უყვარდეს თავისი შვილები? ა! რას იტყვი ამაზე, ლათიკო? (ჩაფიქრდება) არა, არა ეს შეუძლებელია: უტყუარი საბუთი მე თითონა ვარ: მშობლები ყოველთვის საუკეთესო შვილით ამყობენ.

**ლათიკოს ხმა.** რასაკვირველია! შენ მართალი ხარ!

**იოსები.** (მსაარულათ) ხომ! მე მართალს ვამბობ; არა?... მაშ ასე... ეს გადაწყვეტილი საქმეა... ჩემი ასული უნდა გაქრეს დღეს, ახლავე. (დახედავს ბავშვს, რამდენადაც იქვე წევს და სძინავს)

**ლათიკოს ხმა.** იოსებ! შენ არაფერს არავძნობ?

**იოსები.** მე ვგრძნობ მხოლოდ სიდიადეს ჩემი ნაბიჯისას...

**ლათიკოს ხმა.** შენი ნაბიჯის?... სიდიადეს მე... აქ, შიგნით... რაღაცა მაწუხებს...

**იოსები.** არაფერია... შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ... მალე შეეჩვევი გადაწყვეტილებას ნაბიჯით სიარულს... აი მე როგორც მაკათ ვგრძნობ თავს.

**ლათიკოს ხმა.** იქ კი სუსტი იყავი.

**იოსები.** მართალია... მაგრამ ცოტა ხნით ისევ იოსები გავხდები... შენც გავხდები მალე ლათიკო.

**ლათიკოს ხმა.** (ყრუთ) გასწი... რას უტყდი...

**იოსები.** (თანდათან დედაება) დროა? მაშ ახლავე... მივდივარ... (აიყვანს ბავშვს სეღში) აბა? წინ!

**ლათიკოს ხმა.** (კადევ ეოქმანბს) სხვაფორივ არ შეიძლება?

**იოსები.** სხვაფორივ? (ჩაფიქრდება) რეველივორით მოკვლა? არა, არ შემიძლია... იქნება მალე არ მოკვდეს... დახჩობა? არა არა... არც დახჩობა შემიძლია: შეიძლება ხელები დამიბოტნოს; დაიწყებს ყვირილს, ტირილს... ენას გადმოავადებს, თვალები გადაუბრუნდება... სახე დაუღლებს... არა... არა... დახჩობაც არ შემიძლია.

**ლათიკოს ხმა.** ძნელია... ძნელია...

**იოსები.** ყველაფერს „განწმენდის სასახლე“ სჯობია (ხმა მადლა ფიქრბს) ავღივარ ზევით, ზევით... ვცაბცახებ, მაგრამ არაფერია... ვინძლო არ წაიქცე... მერე ვხუტავ თვალებს (თანდათან დედაება... დათავა ძიხს იუურება) ავწიე ხელები და... გადავადღე... მერე ცოტა ხანს სიჩუმეა და მხოლოდ ერთხელ... მხოლოდ ერთხელ... ვინ იცის: იქნება ერთხელ კვილი გაისმას... და მერე კი... ისევ სიჩუმე, სიჩუმე, სიჩუმე... ამით დასრულდება საქმე... მერე... მერე... მერე რა იქნება?

**ლათიკოს ხმა.** ღვთის გულისათვის ნუ მტანჯავ... ჩქარა შეუდექი საქმეს... მე მეტის ატანა არ შემიძლიან! (ჩუმათ) ა-ა-ახ! რათ დავსთანხმდი?

**იოსები.** კარგი... კარგი... მივდივარ... შენ იქ დარჩი... იქ მარტო მე ავალ.

**ლათიკოს ხმა.** არა! მეც უნდა წამოგყვე.

**იოსები.** არ მინდა... აქ დარჩი... მე მსურს ამ დღად ნაბიჯში მონაწილეობა მარტო მე

მივიღო... არავის არ მივცემ ნებას, ჩემი სიხარული გაიზაროს.

**დათიკო.** (დასუსტებული ხმით) მაშ გასწიე ჩქა-არა!

**იოსები.** მივდივარ, მივდივარ ჩემო მეგობარო (იასკები ნუფ-ნუფა ადის კადავსე. დათიკო ჩამაჯდება ქვაზე და სხეზე ხელების შიდაფარებს. მთისმის ამ დროს მუსიკის ხმა: უკრაფენ „ვანტანგ მუფას“) მუსიკაც უკრავს! მარშით მატილებენ... დიახ! დიდმა მთებმა უნდა შექმნას დრეკა! (შიდას წინ)

**დათიკო.** გასწი ჩქარა!

**იოსები.** უფრო ჩქარა არ შეიძლება... დავილაღე... უნდა ცოტა მოვისვენო იმ ქვასთან, სადაც „განწმენდის სასახლის“ პირველ სხვერპლთ უყვარდათ ყოფნა (უხედავდება კადავსე. მუსიკა კადავსე უკრავს) იქუნდა აღსრულდეს. (ჩამაფარდება სიხუმე. იასკები მიუხედავდება კადავსე და ცოტა ხანს შემდეგ ამოუფარება კადავსე ბავშვისათ. გადის რამდენიმე ხანი სიხუმეში. დათიკო აიხედავს ზეჟიათ).

**დათიკო.** მიეთარა. (დადუმებული ხმით. უცნობ გაისმის სუსტი ეგვირილი უფსკრულიდან. ზატანა ხანს შემდეგ მთისმის იასკების მძლავრა ხმა).

**იოსები.** მზეო! იცნე, იკასკასე! ქარო დაჰქროლე და მოჰფინე ქვეყანას, რომ პირველი ნაბიჯი გადაიდგათქო!

**დათა.** (წამოხტება ზეზე) მეც უნდა ვნახო ის ადგილი. (ჩქარა ადის იმავე გზით, რა გზითაც იასკები წავიდა და მალე მიუფარება... სიხუმეა სცენაზე. ცოტა ხანს შემდეგ შემადან ხმა და ლეჟანა. მუსიკა შეწყდება).

**ლეჟანი.** საჭიროა ჩემო კარგო ყველაფერი დღეს გადაწყდეს... რაც უფრო ვიცდით, მით უფრო და უფრო რთულდება საქმე... ყოველთვის სჯობია ერთის დაკვრით გადასწყვიტო ყველაფერი.

**ანა.** ლეჟან! ვერ გამიბედნია... მეშინიან...

**ლეჟანი.** ანა! გთხოვ, თუ ჩემი სიყვარული გაქვს ასეთ სიტყვებს თავი დაანებე, დღეს დილითაც გული მომიკალი, ახლაც ყოყმანობ და გეშინია გადაჭრილი პასუხი მომცე.

**ანა.** არ გეწყინოს, ნუ გამიჯავრდები ჩემო ლეჟან... მე ისედაც ბევრი ვიტანჯე... ასეთ სიტყვებს ჩემგან დღესს შემდეგ ვერ განავრასოდეს ვერ გაიგონებ.. მე მინდა ლეჟან მხოლოდ გიყვარდე და მიყვარდე უსაზღვროთ. თავდავიწყებამდე.. მე უსიყვარულოთ ცხოვრება არ შემიძლია... ახ! ლეჟან, ლეჟან! რა ბედნიერი ვიქნებოდი, რომ შენ უფრო ადრე მენახე: მენახე, სანამ იოსების ცოლი გავხდებოდი... (გააფრთხავს) ა-ა-ხ! მოსაგონებლათაც მწარეა; სიზმარშიც კი საზიზღარია... რომ გამახსენდება ივანეს სიტყვები იმ საშინელ დღეს, გონება მეკარგება... ძალათი დამიმორჩილა... ძალათი ამომგლიჯა თანხმობა. სამში ერთი უნდა ამერჩია: ან შემშლილთ სიკვდილი ან საროსკიპო სახელი და ან იოსების ცოლობა.

**ლეჟანი.** იოსებმა ახლაც არ იცის, როგორ დასთანხმდი მაგის ცოლობაზე...

**ანა.** არ იცის და ან საიდან გაიგებდა? მე გადავწყვიტე შური მეძია და ამიტომ დავჩუმდი. მინდოდა, ქორწინების დამეს იოსებიც და ივანეც მომეკლა და შემდეგ მეც სიცოცხლე მომესპო. როდესაც წარმოვიდგინე, რომ იოსები მე კოცნას დაიწყებდა, რომ იგი გადამეხვეოდა... დაიწყებდა სიყვარულის სიტყვების ჩურჩულს მომხვევდა ხელს. დაეპატრონებოდა ჩემს სხეულს... ტანზე ჟრუნტელი მივლიდა... (მიეკვრება ლეჟანს) გული ბავაბუგს იწყებდა, თვალთ მიბნელებოდა, თავბრუ მესხმოდა... დმერთო! რა მძიმე, რა აუტანელი მდგომარეობა იყო... რა ჯოჯოხეთური ტანჯვა იყო ჩემთვის ასეთი ცხოვრება... მაგრამ ვერც თავი მოვიკალი და ვერც შური ვიძიე.. თურმე იმდენი გამბედაობა არ მქონდა..

**ლეჟანი.** (კადავსება) ჩემო ტანჯულო ჩიტო!

**ანა.** რომ შემიძლოს მოვიჭრიდი ამ ხელებს, რომელსაც იოსები ისე ხარბად ჰკოცნიდა, ფეხებს რომელსაც უსაზღვროთ ეალერსებოდა; ლოყას, რომელსაც ამახინჯებდა თავისი საშინელი ტუჩების მიკა-

რებით... ო-ოხ! რა საზარელი სახეს მიიღებდა, თუ კი ცოტაოდენ წინააღმდეგობას გაუწევდი... საშიშარი, საზიზღარი იყო ერთსა და იმავე დროს... მეც მეშინოდა მისი... (უცნობი სხვა კალათი) იცი ლევან! იოსები თავიდან ბოლომდე მართალია: მახინჯები არ უნდა იზადებოდენ და თუ იზადებიან, არ უნდა იზდებოდენ. უნდა მოსპოს უსათუოდ სიმახინჯე., რაც უნდა იყოს თურმე შინაგანი თვისებით ადამიანი, თუ კი მახინჯია, მისი შეყვარება შეუძლებელია. ისეთი ძლიერი და დიადი სული, როგორც იოსებს აქვს, ისეთ საშინელ სხეულშია მოწყვდიელი, რომ ზიზღი ვერ შემეკავებია: მართალია: მხოლოდ სილამაზის შეყვარება შეიძლება.

**ლევანი.** მებრალება მაგრამ შეველა რომ არ შეიძლება!?

**ანა.** მერე როგორ შეყვარებოდა, რომ მახინჯი არ იყოს: ის უბედური გრძნობდა, რომ მეჯავრებოდა, მეზიზღებოდა, მძულდა: გრძნობდა მაგრამ ითმენდა უსაზღვროთ, ითმენდა საშინელის ენერგიით.

**ლევანი.** მაშ იმას ყვარებიხარ?

**ანა.** უყვარდი და მერე როგორ? რომ არ ყვარებოდი ამდენს მომიტმენდა? როგორც პატარა ფინია, ისე გაინართხებოდა ჩემს ფეხეთან; ეს მრისხანე იდამიანი, ეს ძლიერი, უდრეკელი სული ჩემი მონა იყო. ერთს ჩემს თავადის დახმარებას, უმნიშვნელო სურვილს უხმოთ ემორჩილებოდა... იტანჯებოდა საშინლათ... ვხედავდი ამას, შეველა არ შემეძლო... მსურდა ხანდახან ისედაც მოწამლული სიცოცხლე, უფრო და უფრო მომეწამლა. ამ საშინელ ტანჯვაში, ბრძოლაში დავიღალე, ლევან: დავიღალე სულით დავიღალე გრძნობით, დავიღალე გონებით, მთელი ჩემი არსებით... ახლა მოსვენება მინდა, მინდა დამშვიდება, რომ ყოველივე რაც მიჩახავს, რაც მიგრძენია, რაც გადამხლავია, სამუდამოთ დავივიწყო.

**ლევანი.** ჩემს მკერდზე მოისვენებ, ჩემო ნუგეშო... ყოველივე გაივლის, ყველაფე-

რი გამოიცვლება, სულ ახალი დრო, ახალი ხანა დადგება. დროა, მყუდრო ჩვეთ სადგური მოვნახოთ და ძალზედ ძლიერი იალქნები ჩამოუშვათ.

**ანა.** (აქვასის მკერდზე მაწადადა) დროა, დრო ჩემო კარგო!

**ლევანი.** ჩემს სიყვარულს დარაჯათ დაგიყენებ, ჩემს სულსა და გულს მორჩილ მონათ ვაგიხდი—

**ანა.** (აქვებით) რა კარგია, რა მშვენიერია! (მუსიკა ისევ უარავს)

**ლევანი.** (განაგრძობს) მთელს ჩემს არსებას შენ შემოვჭირავ, შენ განაცვალე... ალერსის სიტკბოებაში ვაგაბევე შენს ლამაზს სახეს; თვალყურს არ მოვაშორებ ძილში ამონაკენეს სიზმარსაც კი, ვეცდები წინდაწინვე გავიგო შენი მრავალ ტანჯული გულის მოთქმანი...

**ანა** რა(აქვებით) ტკბილია ოცნება!

**ლევანი.** ფიანდახათ გადაგიშლი ჩემთ გრძნობათ, ბუღბუღლათ, იადონათ ვადვიტყვი.. საოცნებო ხმებით დაგაძინებ და საუცხოვო სიძლიერით გამოგადვიძებ... შენ იქნები ჩემი კანონმდებელი, შენ იქნები ჩემი სინდისი, ღმერთი, სიყვარული, პატრონება.. შენ იქნები ჩემი ყვე-ელ-აფერი! (ჩაკვანება)

**ანა.** კიდევ, კიდევ სთქვი არასოდეს მე ასეთი სიტყვები არ გამოგონია... ასე მგონია სადღაც, შორს, უცნობ მხარეს მივფრინავ, მაღლა, მაღლა ვიწვევ (ამ დრამის გამაჩნდების კადრზე იასუბა და დათაგა იასუბისათვის დათაგოს ხედა უკიდა და ხელსეა ჩამადაან ძინს)

**ლევანი.** დიახ ჩემო სულო და გულო, ჩემო მზე და მთვარე! ჩვენ სულ ზევით, ზევით მივდივართ, სინათლეს, თანდათან უახლოვდებით.

**ანა.** (აქვებით) მაგრამ ზღაპრულის ჩიტის არ იყოს, რომ მზის სხივებმა დაგწვას, ან იზენის გმირებსავით კლდის ფერდობებზე, ან კიდევ ზვავის ქვეშ რომ დავიღუპო?

**ლევანი.** ეს არ მოხდება არასოდეს ჩემო



კარგო და თუ მოხდა, თუ ასეთია მართლაც ჩვენი ბედი, სულ ერთია მაინც მოკვდებით, ერთად მაინც დავიმარხებით.

**ანა.** და ბუნება გვეტყვის Pax uotcum (დადუმდებიან. მუსიკა შეწყდება.)

**იოსები.** ამ სიმაღლიდან ახლა ძირს უნდა ჩავიდეთ?

**დათიკო.** ღიას! ნელა იარე, ფეხი არ დაგიცდეს...

**იოსები.** მე აქ მერჩია დარჩენა...

**დათიკო.** წინ გასწიე! დაწყებული საქმე ზოლომდე უნდა მივიყვანოთ... აქ ნელა... არ გადავარდე...

**იოსები.** მართალია... მართალი... მგონია მუსიკა უკრავს არა?

**დათიკო.** არ.. შეწყდა.

**ანა.** (სივრცეში იფურება ლევანზე მიწოდდა.) ისინი იქ უჩვენოთ მხიარულობენ.

**ლევანი.** არაფერია.. გაერთობიან უჩვენოთაც. (სიჩუმე)

**ანა.** იოსებიც მოვიდოდა...

**ლევანი.** ალბათ... (ჩუმათ სხედან)

**დათიკო.** გადავრჩით...

**იოსები.** ასეღა უფრო ადვილი ყოფილი...

**დათიკო.** ჩამოხტი. (გადმოხტებიან კლდედან.. ორივენი მიჯანდავდებიან სკამს და ჩუმათ სხდებიან სცენის სიღრმეში. ანა და ლევანი ვერ ხედავენ იოსებს და დათიკოს! ესენიც ვერ შეამჩნევს).

**იოსები.** დავილაღე.

**დათიკო.** მეც.

**იოსები.** კიდევ ვლევავ... თავი ვერ შემიკავებია.

**დათიკო.** (უფრო დაშვიდებულია) ნუ გეშინიან დასძლევ: მწუხარების დროს შენ ყოველთვის ძლიერი ყოფილხარ.

**იოსები.** ძალიან, ძნელია სულმუდამ ძლიერათ ყოფნა... ხანდახან.. რალაცა გაწყდება... შიგნით და ადამიანი მოღებება ხოლმე... მეც ასე დამეძარა...

**დათიკო.** მხოლოდ ხანდახან მოხდება ხოლმე. (ჩუმათ აჩიან)

**ანა.** (ლევანს) მაშ გადაწყვეტილია... ამოღამ თქმედივარ

**ლევანი.** უსათუოდ... უნდა გავიქცეთ აქედან შორს, შორს სადმე უცნობ ახლოს რეს.

**ანა.** გინდა წავიდეთ ახლავე, ამ წუთას?

**ლევანი.** ახლავე?

**ანა.** ღიას! ახლავე... გეშინია?

**ლევანი.** შენთან რისა უნდა მეშინოდეს?

**ანა.** მაშ გადასწყვიტე: გავიქცეთ ახლავე; დაე შენმა სტუმრებმა უჩვენოთ განაგრძონ და დათავონ კიდევ ქეიფი. მერე გვეძიონ თუ კი სურთ. (ხელებს დაადებს ორივე მხრებზე და თვადებში შესტყარის) ჰა გადასწყვიტე!

**ლევანი.** (გადაწყვეტილათ) კარგი! წავიდეთ...

**ანა.** ასე ჩემო კარგო! (გადახეხავს) რა ტფილია, რა ნეტრება სიცოცხლე ჩემო ლევავ. (კარნის).

**იოსები.** (დათიკოს) რა მწარეა. რა წვალებაა სიცოცხლე ჩემო დათიკო.

**ანა.** (მოშორდება ლევანს და უნდათ წინ წამოადგენს. მაგრამ შეხედავს იოსეტს და უკან დაიხვეს) ლევან?!

**ლევანი.** რა იყო ჩემო კარგო?

**ანა.** შეხედე, შეხედე: აგერ იოსები და დათიკო!

**ლევანი.** (გაქხედავს) იოსები და დათიკო?

**ანა.** აი, შეხედე? აქ რა უნდათ? ან რა დამართნიათ?

**ლევანი.** (დახეუფლათ) რა დამართიათ? რა უნდათ? ჩუმათ? ამოვეფაროთ აგერ ვერ დავგინახავენ!

**ანა.** შენც დაიწიე უკან... არ შეგხედოს!

**ლევანი.** აქეთ მოდექი... აქ სჯიბია (შეუმხეველია ოსების)

**ანა.** იქნეაა გავიგოთ რამე? ყური დაუგდე, რალაცა ამბობს!

**ლევანი.** რაო? (მიუჩრებენ)

**იოსები.** ძნელია ასატანია, როცა გრძნობ რომ ყელსა უფრო მართალი ხარ, მაგრამ ამის მიუხედავად მაინც იტანჯები... სხვა ბედნიერია, მხიარული — შენ კი უბედური მოწყენილი.

(შემდეგი იქნება).

ს ა ბ ე ნ ე ფ ი ს ო წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა  
 კ ვ ი რ ა ს . 6 თებერვალს 1911 წ.



# ნ. ჯავახიშვილის საბენეფისოდ



ქართულ დრამატულ საზოგადოების დასის მიერ ვლ.  
 ს. ალ. მესხიშვილის და ვ. ა. აბაშიძის  
 მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

## მოჩვენებანი

დრამა 3 მოქმედებად იბსენისა. თარგმანი ია ეკალაძისა  
 ოსვალდის როლს შესრულებს ვლ. ს. ალექსი მესხი-  
 ვილი ფრუ ალვის როლს მობენეფისე.  
 რეჟისორი: ვლ. ს. ალექსი მესხიშვილი.

## პირველათ ქართულ სცენაზე

პიესა 2 მოქმ. ი. ელეფთერიძისა.  
 რეჟ. ვ. შალიკაშვილი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი: დავითაშვილი, ვიკტორელი,

ლექავა, ლოლუა, პიერრეტა, შოთაძე, ჩერქეზიშვილი. ჯავახიშვილი.  
 ბ-ნი: აბაშიძე, ალექსი-მესხიშვილი, გუნია. გვარაძე, ჟივიძე, ზარდალიშვილი, მდივანი, მა-  
 ტრადზე, მგალობლიშვილი, მამფორია, საფაროვი, ციციშვილი, შალიკაშვილი.  
 წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

• ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგადოებისა.  
 შემდეგი ბენეფისი ვ. შალიკაშვილის, წარმოდგენილი იქნება „განწმენდის სასახლე“.  
 ყოველ კვირეული ჟურნალი (გამოდის 12 დეკემბრიდან).

## ცხოვრება და ხელოვნება

რედაქციამ მიმართა ყველა ქართველ მწერლებს, მეცნიერთა და მხატვარ ხელოვანთა  
 თანაშრომის მიღებისათვის. — განყოფილება რ ე დ ა ქ ტ ო რ ე ბ ი ა .

პუბლიცისტიკა	ფ. კაკაბაძეაი.	მედიცინა	ვ. დამაშიძე.
სიტყვა-კაზმული მწერლობა	შ. აბა- გვისშიაძეაი. (ბელეტრისტიკა).	მუსიკა	ზ. ფაღაველიაი.
სიტყვა-წყობილი მწერლობა	კ. მკვაშვილი (პოეზია).	დრამა	ვ. შალიკაშვილი.
პედაგოგიკა	აღ. მდივანი.	სასცენო ხელოვნება	ვ. მესხიშვილიაი.
მხატვრობა და ქანდაკება	ი. ნაკვალაძე.	კრიტიკა და ბიბლიოგრ.	ი. ვართაგვიანი.
ისტორია	იუს. ასუღაძე.	ბუნების მეტყველება	ს. აბაშიძეაი.
		მიმოხილვა	ვ. გუნია.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. ლორთქიფანიძე.  
 დამატებაში იბეჭდება „როსტომიანი“ (ფიანდუისის მქსნაძე) და დრამები.  
 ხელის მოწერა მიიღება ქართული თეატრის კასაში, რედაქციაში და წერა-კითხვის  
 გამავრცელებელ საზოგადოებაში.  
 განცხადების ფასი ჟურნალის კაბადონზედ 1 გვერდზე სტრიქონი 20 კ. უკა-  
 ნასკნელზე 15 კ. ტექსტის წინ 15 კ. ტექსტის შემდეგ 10 კ. რუსეთიდან და საზო-  
 ღვარ-გარეთიდან განცხადებები ორ ფასად.

Адресъ: Тифлисъ, Дворянская, д. дворянства, рядом съ театромъ. Ре-  
 дакция „Цховреба да Хеловнеба“. Тел. № 862. რედაქცია ღიაა 10—2 ს.